ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 294 (20035) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

როცა მილიონობით ჯარიმას ვიხდით

მიწოდების დისციპლინის უთუოდ დაცვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროდუქციის მიწოდების დავალებებისა და ვალდებულებების შესრულება საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმადაა მიღებული.

როგორ იცავდნენ რესპუბლიკის საწარმოები წლეულს სახელშეკრულებო დისციპლინას? ამაზე გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ᲧᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის პრობლემა რთულია და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. რესპუბლიკაში შეძენილია მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაციის გარკვეული გამოცდილება. ახლა ეს მაჩვენებელი უდრის საშუალო საკავშიროს და 98,3 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ეს რესპუბლიკას მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შუშვიდე ადგილზე აყენებს: წლის დამდეგიდან მომხმარებელს დააკლდა 154,8 მილიონი მანეთის პროდუქცია. თითქმის ყოველი მეხუთე საწარმო მთლიანად ვერ ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, აღალატებს მომიჯნავეებს, არღვევს საწარმოო ჯაჭვის რიტმულ მუშაობას. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, მაგალითად, მართებთ მომხმარებელს 28,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში ამ მაჩვენებელმა 8,8 მილიონი მანეთი შეადგინა, საშენ მასალათა მრეწველობამ მომხმარებელს დააკლო 8,4 მილიონი მანეთის ნაწარმი. თუ ავიღებთ საწარმოებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოცულობით პროდუქციას მომხმარებელს დააკლეს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებამ, ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონმა“, ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანებამ, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატმა, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომმა“.

სერიოზული მდგომარეობა შექმნა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში. აქ 134 საწარმოდან 37-მა საწარმომ სახალხო მეურნეობას ვერ მიაწოდა 81 მილიონი მანეთის პროდუქცია. ყველაზე დიდი მოცულობის უკმარმოწოდება დაუშვეს საწარმოო გაერთიანება „ფოთითევზმრეწველმა“, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ“, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ.

ჩამორჩენა შეინიშნება საექსპორტო შეკვეთების შესრულებაშიც.

არსებითი შეფერხებები ხდება რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსში. მუშაობას აქ ხშირად ამუხრუჭებს მასალათა ნაკლებობა, მაშინ როცა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში, კარიერებში ძალიან ბევრი ასეთი მასალები დაგროვდა, ადგილებზე ტვირთის დროულ მიტანას ფუშავს რკინიგზის ტრანსპორტის არარიტმული მუშაობა. სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის გზა ყოველწლიურად მილიონობით მანეთი ჯარიმას იხდის. მაგრამ ამ ჯარიმებით ვერ აანაზღაურებ ზარალს, ვერ დაძლევ ჩამორჩენას სამშენებლო ობიექტებზე.

მაინც რატომ ხდება შესაძლებელი სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევები? პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: ეს ხდება იმის გამო, რომ საწარმოებსა და დაწესებულებებში არ არის სათანადო წესრიგი, სუფევს უყაირათობა. საწარმოთა ხელმძღვანელების კონტროლი სახელშეკრულებო მიწოდებათა განხორციელებისადმი მხოლოდ შედეგების ფიქსაციით განისაზღვრება. ამავე დროს იგი მიზნად უნდა ისახავდეს შეფერხებათა თავიდან აცილებას მომიჯნავეებთან საქმიანი კონტაქტების განმტკიცების, მათ მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზების შესწავლის, რესურსებით უზრუნველყოფაში კონკრეტული დახმარების აღმოჩენის საფუძველზე...

ვაწყდებით ისეთ ფაქტებსაც, როცა სამეურნეო ხელმძღვანელები კვლავინდებურად თავიანთ მეცადინეობას ახმარენ რეალიზაციის საერთო მოცულობის დავალებათა შესრულებას. ამ მიზნით აწარმოებენ და ვადამდეც კი გზავნიან მწარმოებლებისათვის „ზელსაყრელ“, ძვირადღირებულ და დიდგაბარიტიან პროდუქციას საჭირო ტიპების, სორტისა და ზომების დაუცველად, რაც იწვევს ნაწარმის გამოშვების ჩაშლას. ასეთ საწარმოებში წარმოების ყოველთვიური შიდასაჭარხნო გეგმები და პროდუქციის გამოშვების გრაფიკები ყალიბდება „შეკრულებო ვალდებულებებს ვერ ასრულებენ, ასეთი საწარმოები რეალიზაციის მოცულობის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების შესახებაც კი აბარებენ ანგარიშს. ბოლო დრომდე ეს გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას ქმნიდა, მაშინ როცა სახელშეკრულებო ვალდებულებები ფაქტობრივად არ სრულდებოდა.

განსაკუთრებული ყურადღება, ხაზს ვუსვამ, უნდა დავუთმოთ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევათა პროფილაქტიას, დადებითი გამოცდილება ამ მიმართულებით არის. იგი შეძენილია, ვთქვათ, რესპუბლიკის სახმომარაგებაში, სადაც საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს სისტემატურად განიხილავენ კოლეგიის, პარტიული კომიტეტის სხდომებზე, რომლებზეც იწვევენ სამინისტროების, უწყებების, დიდი საწარმოებისა და მშენებლობების წარმომადგენლებს. გაერთიანებული მეცადინეობით უკვე წლეულს გადაწყდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამართველო-ორგანიზაციული პრობლემები. კერძოდ, პროდუქციის საგეგმო განაწილება ნაწილობრივ წარმოებს ფონდებისა და განწესების გარეშე. ამ მეთოდზე რესპუბლიკაში უკვე გადავიდა რამდენიმე ასეული მომხმარებელი. ახლა სახმომარაგება წყვეტს საკითხს, რომ უზრუნველყოს მომხმარებლები ფართო ნომენკლატურული პროდუქციით ფონდებისა და განწესების გარეშე, რომლის მიხედვით მიღწეულია არსებული რესურსებისა და მათზე მოთხოვნილების შეწონასწორება. კიდევ უფრო განვითარდება პროდუქციის მომხმარებლებისა და მიმწოდებლების პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა. მომარაგების ამ ფორმაზე გადადის 300-ზე მეტი დიდი საწარმო.

ყოველი შრომითი კოლექტივის ამოცანაა ამოცანაა მიიწოდოს მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა უთუო და სრულ შესრულებას. დროა, ბოლოს და ბოლოს, შევიგნოთ: მომხმარებლის შეკვეთების შესრულება დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადასვლაში.

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ვახტი. მორიგი წარმატება. წლიური გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება — ამგვარი პატაკები მოაქვს ყოველდღიურად ხარდაქციო ფოსტას.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝ გაერთიანება „საქსამთოქიმრეწვის“ ხალხთა მეგობრობის ორდენოსანმა კოლექტივმა, წლის დამდეგს თავსდატეხილი სტიქიური უბედურების მიუხედავად, მაქსიმალური ორგანიზებულობით შეძლო წლიური გეგმის 20 დეკემბრისათვის შესრულება. ზრდის ტემპის დაჩქარებით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია ზეგეგმითი მოგება.

▼▼

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა კი მილოონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა წელს. გარდა ამისა, აქ მკვეთრად გაუმჯობესეს ხარისხი და ამაში თავისი სიტყვა სახელმწიფო მიღებამაც თქვა.

რუსთაველთა წარმატებას მეტყველებს ასეთი ციფრები: დავალების გადაჭარბებით, ძირითადად ჩქარისნული დნობის შედეგად, გამომუშავებულია 15 ათას ტონამდე ფოლადი, ორი ათასი ტონა ფოლადის მილი. არსებითი მატებაა აგრეთვე პროდუქციის ზოგიერთი სხვა სახეობის მიხედვით. ქარხანაში საგრძნობი გადაკეთებები შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა.

▼▼

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ენერგეტიკოსის დღეს. მასში მონწილეობდნენ რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული დარგების, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები.

საზეიმო სხდომას ესწრებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲐᲠᲘ

ᲛᲡᲢᲐᲨᲕᲘᲢᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის შემოგარენი ახლა თოვლშია გახვეული. თეთრმა საბურველმა მთის მწვერვალებიდან კალთებზე ჩამოიწია, ღრუბელი სანდახან ცხვრის ფარასავით აიშლება და ქვემოთ, სამუშაო პოლიგონზე ჩამოიძენძება, აქ კი გაცხარებული სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. დასასრულს უახლოვდება გასულ ზამთარში აბობოქრებული სტიქიით დაზიანებული ჯვარ-ხუდონის საავტომობილო გზის „მკურნალობის კურსიც“...

ენგურჰესის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს მეცხრე უბანში ვართ. ჰიდრომშენებლები თავისებური ხალხია. ისინი მათთვის სასიამოვნო მომთაბარეობას ეწევიან, ობიექტიდან ობიექტზე გადადიან. დაამთავრებენ ერთ ჰიდროელექტროსადგურს, მთელი უბნებითა და ბრიგადებით აიყრებიან და მეორის მშენებლობას იწყებენ. ასეთია მათი მკაცრი, მაგრამ ვაკაცური ცხოვრება. საოცრად, მართლაც ფანატიკურად უყვართ თავიანთი სპეციალობა. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა ასეთი რთული სამუშაოების შესრულება. და ეს სიყვარული თაობიდან თაობაზე გადადის. ძველი გვარდიის წარმომადგენლები გულისხმიერად ზრდიან ახალგაზრდა კადრებს, მათს დაოსტატებაში მთელი კოლექტივი მონაწილეობს.

ვინ არის შენი დამრიგებელიო, რომ ჰკითხო რომელიმე ახალგაზრდა ჰიდრომშენებელს, პასუხის გაცემა გაუჭირდება, შეყოვნდება, ვინაიდან ყველანი ახალბედას დამრიგებლები არიან.

ერთი დამახასიათებელი დეტალი. როცა ახალბედა კოლექტივში მოდის, მას ყურადღებით ხვდებიან. თითოეული მათგანი თავს მოვალედ თვლის, გააცნოს ცნობილ ჰიდრომშენებელთა საგმირო საქმეები, რომელთა სახელოვანი შრომითი ტრადიციები ესტაფეტასავით გადადის ხელიდან ხელში. ვეტერანები მოწიწებით მოისხენიებენ, მაგალითად, წალკელი ბერძნის ილია ასლამაზოვის სახელს, რომელიც ჯერ ხრამჰესს აშენებდა, მერე ლაჯანურჰესს, ხოლო შემდეგ თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ენგურზე ჩამოვიდა სამუშაოდ.

ეს 1968 წლის გაზაფხულზე მოხდა... მაშინ ენგურის დიდი კაშხალის ქვაბულის ქანებს ამუშავებდნენ, ბრიგადირი ი. ასლამაზოვი „როკ-600“ ტიპის ძვირად ღირებული შვედური აგრეგატით ყოველ ცვლაში 100-120 მეტრს ბურღავდა. ეს იყო რეკორდი, რომელსაც დღემდე ვერავინ გადააჭარბა. იმ დღეს, 25 მეტრ სიმაღლეზე სამუშაო ადგილზე გადანაცვლებისას, ბრიგადირს მოძრავი აგრეგატი გაექცა, ვერ დაიმორჩილა, არც ხელი გაუშვა და თან გადაპყვა. ი. ასლამაზოვი სასწრაფო დახმარების მანქანით ჯვრის საავადმყოფოში გააქანეს, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ერთი კიდევ გაიბრძოლა, საკაციდან თავი ასწია და მანქანაში მყოფთა გასაგონად წაილუღლუღა: იმ აგრეგატის გადარჩენა შეიძლებოდაო. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები: აი, როგორი ხალხია ჰიდრომშენებლები!

ასეთი საუბრები, რჩევა-დარიგება და ვეტერანთა პრაქტიკული საქმეები გულში ღრმად სწვდებათ ახალგაზრდებს. ისინი მტკიცედ მიჰყვებიან უფროსი თაობის სახელოვან გზას. ქართველ ჰიდრომშენებელთა დიდი და მონოლითური ოჯახის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელია ახალგაზრდა გვირაბგამყვანი დათო გაბედავა, რომელიც ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურიდან ჩამოვიდა ენგურზე. მშრომელ კოლმეურნეთა ოჯახში აღზრდილმა ნიჭიერმა ყმაწვილმა 1978 წელს წარმატებით დაამთავრა ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატი და იმავე წელს შევიდა საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე.

თავმდაბალი და სიტყვაძვირია დათო. ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მეცხრე უბანში რომ გაამწესეს სამუშაოდ, თავდაპირველად საკმაოდ გაუჭირდა, მაგრამ ჯერ არმიაში სამსახურისას მიღებული წრთობა დაეხმარა, განსაკუთრებით კი უფროსი მეგობრების მხარდაჭერა და თანადგომა. ჯერ კიდევ უცნობი კოლეგები მხარში ამოუდგნენ, ტოლ-ამხანაგად იგულეს, ენგურის წყალი ასვეს. მისი პირველი გამმხნევებელი და ქომაგი იყო მეცხრე უბნის უფროსი, კომუნისტი ნუგზარ თოლორდავა, რომელმაც ღვიძლი შვილივით მიიღო და შეითვისა. არც ბრიგადირი აპოლონ ცანავა, ნუგზარ ქირაია, ნუგზარ გოგოხია, ნოდარ ქორაია, ნოდარ ყურაშვილი და სხვა გამოცდილი ჰიდრომშენებლები აკლებდნენ რჩევასა და დახმარებას.

წლები წლებს მიჰყვა. თანდათან მოდიოდა გამოცდილება, პროფესიული ცოდნა. დათო გაბედავა ახლა მეოთხე თაობიდან თანიგის გვირაბგამყვანია. მიწისქვეშა მუშაობის პროფილი ბუნებრივად მოითხოვს მომიჯნავე სპეციალობათა ათვისებას. მებეტონე მბურღავი, ზეინკალი... გინდა თუ არა, ეს ხელობაც უნდა იცოდე, ისე ვერ გახდები კვალიფიციური ჰიდრომშენებელი.

ახლა ენგურჰესის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანს თენგიზ ჩიქობავას მოვუსმინოთ:

— სამმართველოს მრავალრიცხოვან კოლექტივში დათო გაბედავა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მომავალი ინჟინერი გამოირჩევა თავმდაბლობით, დიდი პასუხისმგებლობით, საქმიანობით, გადოებრივი საქმიანობით. ამიტომ, როდესაც პარტიის რიგებში შესვლის სურვილი გამოთქვა, ეს საკითხი საორჭოფო არ გამხდარა. პარტიულ ჯგუფს დავავალეთ დახმარებოდა დათოს მომზადებაში. მას უბნის პოლიტინფორმატორობა მიანდეს და საუკეთესოდ გაართვა მას თავი. მზადების პერიოდმაც განვლო. რეკომენდაციები უყოყმანოდ მისცეს უბნის უფროსმა ნ. თოლორდავამ, უფროსმა ელექტრიკოსმა ნ. გოგოხიამ და მშენებლობის სამმართველოს კომკავშირის კომიტეტმა. მიმდინარე წლის მარტში პარტიულ კრებაზეც ერთსულოვნება იყო: დათო გაბედავა ერთხმად მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად.

ახალგაზრდა კომუნისტი ხუდონპესზე სავახტო მეთოდით მომუშავეთა წარმომადგენელია.

— როგორ მოგწონთ ეს მეთოდი და რა უპირატესობა აქვს მას ჩვეულებრივ ცვლასთან შედარებით? — ვკითხეთ დათოს.

— უპირატესობა ის არის, რომ კვირას ვმუშაობთ, მომდევნო კვირას კი ვისვენებთ. ეს პირადად ჩემთვის ძალზე ხელსაყრელია. დრო მრჩება სამეცადინოდ, სოფელში ჩასასვლელად და მშობლების დასახმარებლად. თანაც, ცოტაოდენი განტვირთვა მართლაც გვჭირდება. სოციალური პირობები? ხუდონზე ყველაფერი არის, მაგრამ სად გვაცალია გასართობად და დასასვენებლად. მთელი კვირა დაძაბული ვმუშაობთ და დაღლილ-დაქანცულნი ხმირად გამოძინებას ძლივს ვასწრებთ. ისე, თუ სადმე ხმა მიგიწვდებათ, დაგვეხმარეთ, რომ არ შეგვაფერხონ საშენი მასალებით, მეტადრე ბეტონით მომარაგებაში. ეს არის ყველა მუშაკის თხოვნა. ისე, კვების საკითხიც გასაუმჯობესებელია.

— მიმდინარე წლის ივლისში თქვენ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეთ და ინჟინრის კვალიფიკაცია მიიღეთ სპეციალობით — „სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროტექნიკური მშენებლობა“. მას შემდეგ თითქმის ნახევარმა წელმა განვლო. თქვენ კი ისევ რიგით გვირაბგამყვანად მუშაობთ. კიდევ რომ გაჭიანურდეს სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე მოწყობა, რას იზამთ? — შევავარეთ კითხვა ახალგაზრდა ინჟინერს.

— მერე რა. ენგურჰესზე სხვა ინჟინრებიც არიან რიგით სამუშაოზე. ესეც არ იყოს, გვირაბგამყვანებს, მემონტაჟეებს, მექანიზატორებსა და სხვა წამყვან სპეციალობათა მუშებს ინჟინრებზე მეტი გამომუშავება აქვთ. მეც ვიმუშავებ გვირაბგამყვანად. აკი ვმუშაობ კიდეც. უკვე მესამე წელია ამ სახელოვანი კოლექტივის წევრი ვარ და ხომ ვერ ვუღალატებ. სადაც საქმეს დასჭირდება, იქ ვიმუშავებ...

მეტად რთულ, ვაკაცურ და საპატიო სამუშაოს ასრულებენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლები. ავანგარდში, ცხადია, კომუნისტები არიან, რომელთა შორის სკკპ წევრობის კანდიდატი დ. გაბედავაც დგას და თანამოსაქმეთა მხარდამხარ კეთილსინდისიერად შრომობს, ახალი წარმატებებით ეგებება ენერგეტიკოსის დღეს. ესტაფეტა საიმედო ხელშია.

З. ᲩᲐᲩᲘᲒᲐᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲡᲢᲐᲨᲕᲘᲢᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“

გადაუდებელი საქმე

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ რედაქციას!

აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამჟამად, როგორც იტყვიან, მთელი კატეგორიულობით დააყენა რუსთაველის საზოგადოების დაარსების საკითხი, რომელსაც არამცთუ მივესალმები, არამედ ასევე კატეგორიულად ვუჭერ მხარს.

ეს საკითხი ჩვენში ამ ბოლო ხანს არაერთხელ წამოჭრილა, მათ შორის პირველად შოთა რუსთაველის რვაასი წლის იუბილეს მზადების დროს, მაგრამ როგორღაც და რატომღაც ყოველთვის მოუგვარებელი დარჩენილა. მართლაც, როგორც აკადემიკოსი შოთა ძიძიგური აღნიშნავს, უხერხული და გაუგებარია, საქართველოში, სადაც ამ ბოლო ხანს იქმნება უცხოეთის გამოჩენილ ადამიანთა საზოგადოებები, არ არსებობდეს ჩვენი გენიალური ნინაპრის საზოგადოებაც.

ახლა მუზეუმები იკითხეთ — მელი ქართველი მოღვაწის, მწერლის, პოეტის მუზეუმი არ არსებობს თბილისსა თუ ჩვენს რაიონებში. შოთა რუსთაველის მუზეუმის დაარსების აუცილებლობაზე თბილისში არა ერთი და არა წელი ვლაპარაკობთ. რვაასი წლის იუბილეს დღეებში ამ მუზეუმის ზოგადი სახეც კი თითქოს მოიხაზა, მაგრამ დღემდე ეს საშვილიშვილო საქმეც განუხორციელებელია.

წლეულს აგვისტოში მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ საზოგადოებრივ შეკრებაზე ითქვა — ჩვენს ცხოვრებაში გარდაქმნასთან დაკავშირებულმა პროცესმა გამოიწვია თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა.

რუსთაველის საზოგადოების დაარსება ჩვენი გადაუდებელი საქმეა. მას შეუძლია ჩვენში უკვე არსებულ „კულტურის ფონდის“ საზოგადოებასთან ერთად (მე ხაზგასმულად მხარს ვუჭერ იმასაც, რომ „კულტურის ფონდის“ საზოგადოებას ეწოდოს ჩვენი დიდი წინაპრის ილია ჭავჭავაძის სახელი). საქართველოში უთავოს მრავალ ახალ დიდ კულტურულ თუ სხვა საზოგადოებრივ საქმეს.

პატივისცემით,
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ, რომ ერთი გაზეთის ერთ ნომერში ერთბამად ორი ეგზომ დიდმნიშვნელოვანი, ეროვნული პათოსით და სულისკვეთებით აღსავსე წერილი აღმოჩნდეს. სიტყვა გვაქვს ამა წლის 20 დეკემბრის „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილებზე — „ერთად ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ“ და „ქანდარაზე ეშმაკი ზის“. პირველის ავტორია მეცნიერი — აკადემიკოსი ᲨᲝᲗᲐ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ, მეორისა — მწერალი, ᲠᲔᲕᲐᲖ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 20 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილები აკადემიკოს შოთა ძიძიგურის („ერთად ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ“) და მწერალ რევაზ ჯაფარიძის („ქანდარაზე ეშმაკი ზის“) ავტორობით. ამ მასალებს მკითხველთა დაინტერესება და გამოხმაურებები მოჰყვა. „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ზოგიერთ პირველ გამოხმაურებას და ვთხოვთ, გამოთქვან თავიანთი აზრი ამ წერილებში წამოჭრილი საკითხების გამო.

„ᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲜᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲐ“...

ეს საკითხი ისინამდვილე სამომავლო ისტორიაში, რაღა თქმა უნდა, სამარცხვინო მოვლენად შეფასდება და ამას არაფერიც აღარ ეშველება. მაგრამ მაინც გონს უნდა მივეგოთ, ამ სირცხვილის ტრიუმფს სადღაც გზა ვუპოვოთ, რათა მომავალ იხტორიას იმის თქმის საშუალებაც მივცეთ, რომ არც ჩვენ ეს ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შესახებ დრა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვლისის პლენუმზე რესპუბლიკის იმ პარტიულ კომიტეტებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ ნელა ახორციელებენ გარდაქმნას, დასახელებული იყო ბოლნისის რაიკომი და რაიონული პარტიული ორგანიზაცია. ამის შესახებ თავის მოწინავე სტატიაში წერდა გაზეთი „კომუნისტიკა“.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. იმის თაობაზე, თუ რა გაკეთეს დროის ამ მონაკვეთში პარტიის რაიკომმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა, რა დასკვნები გამოიტანეს ხამირთლიანი კრიტიკიდან, როგორ მიმდინარეობს ამუამად რაიონში გარდაქმნა, უამბეს თუ არა ბოლნისელებმა ტემპს, გვესაუბრება პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ზაქარია ლეონოზიშვილი.

— სასარგებლო იყო თუ არა კრიტიკა? — შემოგვიბრუნა მან კითხვა. — თქმა არ უნდა, იგი სამართლიანი და სასარგებლო იყო. მთელი ძალით ვიგრძენით ჩვენი მუშაობის ნაკლოვანი მხარეები. ისინი გულდასმით გავაანალიზეთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რაიკომის ბიუროზე, აგვისტოში გამართულ რაიკომის IX პლენუმზე. დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი და ერთსულოვნად შევუდექით მათს განხორციელებას.

— რას ითვალისწინებს ეს ღონისძიებანი?

— ადამიანის ფაქტორის გაუაქტიურებლად რაიმე გარდაქმნაზე, ცხადია, ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომაც, უწინარეს ყოვლისა, ეცდილობთ გავუღვიძოთ ადამიანებს თავის სამუშაო ადგილზე, კოლექტივში, საზოგადოებაში ინტერესი, რომ იყვნენ ნამდვილი მეურნენი. საჭიროა ყველამ იცოდეს: გარდაქმნა მიმდინარეობს ადამიანებისათვის და თვით ადამიანების მიერ ხორციელდება, სხვა არავინ ჩვენთვის არ იზრუნებს. ამ შემთხვევაში გვჭირდება არა სტატუა, არამედ კონკრეტული მოქმედება ვითარების გათვალისწინებით. იგი კი, ვგრძნობთ, ურთულესია. ზოგიერთი მეურნეობის ეკონომიკა კვლავაც სუსტია, არ ჯყოფნით მუშახელი, მოისუსტებს დისციპლინა, მიწის დიდი ნაწილი ისე არ მუშავდება, როგორც საჭიროა. ეს კი მოსავლიანობას ამცირებს. საჭირო იყო ყოველივე ეს შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით გაგვეანალიზებინა და სათანადოდ შეგვეფასებინა კიდეც. ამაში სპეციალისტები და მეცნიერები დაგვეხმარნენ. მათმა ანალიზმა და რეკომენდაციებმა შესაძლებლობა მისცა რაიონის კომუნისტებს შეეფუშავებინათ ეკონომიკის ზრდის კონკრეტული ღონისძიებანი, უარი ეთქვათ ზემოდან მითითებებსა და ადმინისტრირებაზე.

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ყოველი გეგმა, რაგინდ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს იგი, რეალურ ძალას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა მისი სჯერათ ადამიანებს. ამიტომაც ყოველნაირად ვცდილობთ დავინტერესოთ და დავარწმუნოთ მშრომელები, ვასწავლოთ მათ მეურნეობის გაძღოლა ადგილობრივ, აგრეთვე მოძმე უკრაინის ბერშადის რაიონის მოწინავე მეურნეობათა მაგალითით, რომელთაც მრავალი წელია ეკჯიბრებიან.

მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს პირობებში განსაკუთრებით ეფექტიანია კოლექტიური და სოჯახო იჯარა. პირველს ახლა გაბედულად ვნერგავთ მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი მოწინავე საწარმოთა რიგებშია. იქ ახლა ათობით ბრიგადა მუშაობს კოლექტიური იჯარით. თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში ყველა ქვეგანაყოფი ამ მეთოდით მუშაობს. ამიტომაც ფაბრიკა მომგებიანია, კოლექტივი დროს უსწრებს, იგი რამდენიმე გარჯერ-ორჯერ მეტია შრომის ნაყოფიერება, ჩვეულებრივთან შედარებით სწრაფად მატულობს პროდუქციის წარმოება.

რაიონული რგოლის ხელმძღვანელებმა და საზოგადოებრივ მეურნეობათა თავკაცებმა უარი თქვეს ზედმეტ ბრძანებებზე, სამუშაოთა მიმდინარეობის უფდმივ კონტროლზე. ამჟამად ასეთი მეთოდები, უბრალოდ, საჭირო აღარ ყოსს, რადგან ყველა დაინტერესებულია შრომის საბოლოო შედეგებით. მაგრამ ეს მხოლოდ მუშაობის დასაწყისია, პირველი ნაბიჯებია. იჯარის დანერგვისათვის, მისი ფორმების დახვეწისათვის მომავალში მეტი მუშაობა მოგველის.

— ცნობილია, რომ ყველაფერი ახალი, ხარეთოდ, ძნელად იკიდებს ფესვს. თქვენც გჭონდათ ალბათ სიძნელეები და შეფერხებები?

— პირდაპირ ვიტყვი: სამეურნეო ანგარიშსა და იჯარას ბრძანებით ვერ დაენერგავ. საკიროა პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო მუშაკების გულმოდგინე მუშაობა. უწინარეს ყოვლისა, ვცდილობთ დავარწმუნოთ მშრომელები სიაბლის უპირატესობაში, დავეხმაროთ მათ კარგად გაერკვნენ მის არსში და გულთან მიიტანონ იგი, მისი სახელმწიფოებრივი და პირადი სარგებლიანობა. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო: მშრომელებმა გაიგეს ყოველივე, თუმცა აღმოჩნდნენ „ურწმუნო თომებიც“. წავაწყდით ისეთ ფაქტებსაც, როცა ცალკეულ მეურნეობათა მესვეურები თავად უშლიდნენ ხელს იჯარის დანერგვას. ასეთ რაღეს კი ნამდვილად არ მოველოდით. მათ, ცხადია, საკადრისი მიეზღოთ, იჯარა გზას იკაფავს და მალე იგი მთელ რაიონს მოიცავს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. კერძოდ, დაბალია ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობა, გასაუმჯობესებელია ეკონომიკური მაჩვენებლები. ეს ამჟამად ჩვენი მთავარი საზრუნავია.

თუმცა ისეთებიც გვყავს, სიტყვით რომ აღიარებენ, გარდაქმნას, საქმით კი არ განამტკიცებენ მას. სიახლეს ნაკლებად უჭირენ მხარს ეკონომიკურად სუსტი მეურნეობები, რადგან აქ ცოცხლობს სხვის ქმაყოფაზე ყოფნის განწყობილება. წინათ მათ ეხმარებოდნენ, გამოჰყავდათ გაჭირვებიდან, რასაც შეეჩვევნენ, ფიქრობენ, ახლაც ასე იქნებაო, და თავს ზედმეტად არ იწუხებენ. ამრიგად, ძველი ერთბაშად არ თმობს პოზიციებს. პარტიის რაიკომი ითვალისწინებს ყოველივეს და აღარ ურიგდება ასეთ მოვლენებს, იზრდება მომთხოვნელობა, რიგითი მშრომელების შემოქმედებითი აქტიურობა.

— ყოველივე ამისათვის კი საჭიროა პარტიული მუშაობის ხტილისა და მეთოდების განახლებადახვეწა, ახლებური აზროვნება. რა გაკეთდა და კეთდება ამ ბოლო ხანს თქვენთან საამისოდ?

— პარტიული მუშაობა უწინარესად ადამიანებთან მუშაობაა. ამიტომაც რაიკომის მდივნები, ბიუროს წევრები, აპარატის მუშაკები ახლა ძირითად დროს კომუნისტებთან, შრომითს კოლექტივებში ატარებენ. ესაუბრებიან ადამიანებს, სწავლობენ მათს განწყობილებას, ადგილზე ოპერატიულად განიხილავენ და წყვეტენ საჭირბოროტო პრობლემებს. რაიკომში ყოველთვის მზად ვართ მივიღოთ ყველა, ვისაც სურს, მოგუსმინოთ მათ, დავეხმაროთ, ვაწყობთ მშრომელთა მიღებას სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას. ადამიანებთან სისტემატური და უშუალო კონტაქტი კი ძალიან გვეხმარება მუშაობაში, საშუალებას გვაძლევს სრულად ვიცოდეთ საზოგადოებრივი აზრი და მის მიხედვით ვიმოქმედოთ.

ახლებური მიდგომით

ვიცოდეთ პურის ყადრი

სოციალური სფერო

ახლახან თბილისის თემქის დასახლებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც უკვე ახალმოსახლეობა 55 ოჯახმა იზეიმა. ბინა დროულად ჩააყენა მწყობრში თბილისის № 2 სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა, რომელსაც ნ. ხარაბაძე ხელმძღვანელობს.

ამავე კომბინატის კოლექტივი წლის დამლევამდე კიდევ დაამთავრებს რამდენიმე საცხოვრებლის მშენებლობას. დიდ დიღომში, მაგალითად, 171, ხოლო ნუცუბიძის პლატოზე 70 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლი თემქის დასახლებაში.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ქმედითობა

საჯაროობა... აფთიაქში

რესპუბლიკის მთავარი საფთიაქო სამმართველო ემადლიერება გაზეთს აქტუალური რეპორტაჟისათვის, რომლის დროსაც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. მენაღარიშვილი ტელეფონით ესაუბრა მკითხველებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ჯანმრთელობის დაცვის მრავალი მხარე გაშუქდა, საფთიაქო სამმართველოს მისამართით გამოთქმული მოსაზრებებიც პასუხს მოითხოვს.

ჩვენ კარგად გვესმის, რაოდენ დიდი დახმარება შეუძლია გაზეთს ბევრი პრობლემის გადაწყვეტაში, ამიტომ ეფიქრობთ გამოვნახოთ თანამშრომლობის ერთობლივი ფორმები. პრობლემებს გარდა, მზად ვართ დაუფარავად წარმოვაჩინოთ ნაკლოვანებები, მათი აღმოფხვრის მიმდინარე და სამომავლო გეგმები, კომენტარში გამოითქვა სურვილი, დეფიციტური წამლების განაწილების საკაროობის თაობაზე. ვიდრე აღნიშნულ საკითხს განვმარტავდეთ, მოგაწვდით ზოგიერთ მონაცემს მედიკამენტებით რესპუბლიკის უზრუნველყოფის შესახებ.

როგორც სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებშია აღნიშნული, მხოლოდ 1993 წლისათვის შეიძლება ყოველგვარ საბჭოურ პრეპარატზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება. ამჟერად კი რესპუბლიკიდან მედიკამენტებზე და სამედიცინო ნაწარმზე წარდგენილი განაცხადი საშუალოდ 76 პროცენტით კმაყოფილდება, ხოლო ზოგიერთ პრეპარატზე პროცენტი ძალზე მცირეა.

მაგალითად, 100-მდე დასახელების პრეპარატზე განაცხადი დაკმაყოფილდა 20 პროცენტით (მათ შორის ისეთ ბაქტერიულ და ვირუსულ პრეპარატებზე, როგორიცაა ბიფიდუმ-ბაქტრინი, ბიფიკოლი, ინტერფერონი, ანტისტაფილოკოკური გამაგლობულინი და სხვ), 150 დასახელებაზე კი 50 პროცენტამდე (ფერმენტული პრეპარატები: ლიდაზა, ტრიფსინი, ხიმოტრიფსინი, ნიმოფსინი, ატფ); 20-დან 70 პროცენტამდეა გამოყოფილი ფონდი ანტიბიოტიკებსა და სისხლის შემცველებზე, ხოლო 100-ზე მეტი დასახელების პრეპარატებზე (საინექციო ამპიცილინი, ათმალინი, გუმიზოლი, მაოფფიზინი, რუტინი და სხვა) საერთოდ არ არის გამოყოფილი ფონდი.

არის სხვა დაბრკოლებაც. 400-ზე მეტი პრეპარატის მიღება გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთ კვარტალში, ნახევარზე მეტისა კი IV კვარტალში. ისე რომ, განაცხადის 100 პროცენტით დაკმაყოფილების შემთხვევაშიც წლის დანარჩენ კვარტალებში პრეპარატები დეფიციტური ხდება.

ამდენად, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ჩვენი მიზანია დეფიციტური წამლით პირველ რიგში დაკმაყოფილდნენ ავადმყოფები, რომელთაც იგი გადაუდებლად ესაჭიროებათ და მისი ანალოგით შეცვლა შეუძლებელია. უწინარესად ამ პრეპარატებით საავადმყოფოები მარაგდება (თუკი მათ წამლების შეძენის საკმაო თანხა აქვთ).

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან შექმნილია სამკურნალოწამლო საშუალებებზე მოთხოვნილების დაგეგმვის, რაციონალურად განაწილებისა და გამოყენების კომისიები (ხელმძღვანელობს მთავარი ექიმი ან მისი მოადგილე), რომლებიც შეზღუდული რაოდენობით შემოსულ მედიკამენტებს და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმს დადგენილი კოეფიციენტის მიხედვით ანაწილებენ.

ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნილი კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ სამინისტროს შესაბამისი სამმართველოები, მთავარი სპეციალისტები და საფთიაქო დარგის მუშაკები. მაგალითად, ბავშვთა დაავადებებისათვის გამოსაყენებელი პრეპარატების განაწილებაში მონაწილეობენ დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველო, მთავარი პედიატრი, ხოლო დანარჩენი პრეპარატების განაწილებაში — შესაბამისი სამმართველოები და მთავარი სპეციალისტები. ასე რომ, დეფიციტური მედიკამენტების განაწილება საჯაროობას მოკლებული არ არის, გაზეთის მიერ ამ საკითხის წამოჭრის შემდგ მთავარ საფთიაქო სამმართველოში თვალსაჩინო ადგილას ვაკრავთ განაწილების სიებს. კარგი იქნება ზემოალნიშნული კომისიები. ხოლო პოლიკლინიკები გამოაკრავენ მოქალაქეთა გვარებს, რომელთაც განაწილებით გამოუყვეს ესა თუ ის დეფიციტური პრეპარატი.

სამწუხაროდ, ზემოხსენებული კომისიების საქმიანობა დღეისათვის სათანადო დონეზე არ დგას. მათი გაუმართავი მუშაობის გამო მედსაქონლეზე მოთხოვნილების განსაზღვრაში უხეში შეცდომები გვხვდება.

მედიკამენტების განაწილების საჯაროობა, უდავოდ, დადებით შედეგს მოგვცემს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ჯერეთვანი კონტროლი დაუწესდეთ მკურნალ ექიმებს, თუ რამდენად დასაბუთებულად გამოსწერენ დეფიციტურ მედიკამენტებს, რაშიც ჯერ კიდევ სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული.

მურმან გიორგაძე,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საფთიაქო სამმართველოს უფროსი.

სახალხო მეურნეობა: მიმდინარეობს გარდაქმნა

ამ დევიზით მოვაწყვეთ ამას წინათ „თბილპურის“ საწარმოო გაერთიანების შეხვედრა ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებლებთან. მიზნად დავისახეთ გაგვეცნო მათთვის, რა სახეობის პროდუქციას ვუშვებთ, შეგვეტყო მომხმარებელთა სურვილები და წინადადებები პურის ხარისხთან და ასორტიმენტთან დაკავშირებით და, რაც, ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, გველაპარაკა პურის ყადრზე, მეტი პატივისცემა ჩაგვენერგა ადამიანებისათვის ამ ფასდაუდებელი პროდუქტისადმი. სამწუხაროდ, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მართლაც არ იცის პურის ყადრი, რახან იგი შეუზღუდავად იყიდება და იაფია, ჰგონია, მისი მოწევა, შენახვა და გადამუშავება იოლი, მარაგი კი ულევიაო.

არა, სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად არის. პური სახელმწიფოს არ ჯყოფნის და საზღვარგარეთ ვყიდულობთ. ასეთ მდგომარეობას უყაირათობაც იწვევს და ეს აღნიშნა კიდეც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის სიტყვაში საზეიმო კრებაზე ქალაქ მურმანსკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისას.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულ თანამედროვე ეკონომიკურ სტრატეგიაში ურთულესი ამოცანის — სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა დავალებული აქვს აგროსამრეწველო კომპლექსს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია პუროროდუქტების სამინისტროს სისტემა.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს საწარმოებმა ურიგოდ როდი დაიწყეს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა. ხუთწლედის პირველი წლის გეგმები თითქმის ყველა საწარმომ შეასრულა. რეალიზებულია აგრეთვე პროდუქციის მიწოდებისა და მისი თვითღირებულების შემცირების დავალებები.

დამაკმაყოფილებლად სრულდება მიმდინარე წლის გეგმებიც. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7,4 პროცენტით, ხოლო მოგების გეგმა შესრულდა 112,4 პროცენტით. როგორც ცნობილია, ჩვენი საწარმოები მიმდინარე წლის დამდეგიდან მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობენ.

შარშან, წლის დამლევს, საიქსპლოატაციოდ გადაეცა რესპუბლიკაში პირველი ავტომატიზებული მარნეულის წისქვილარხანა 500 ტონა სადღეღამისო სიმძლავრით, იგი ძირითადად უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს. ტექნიკურად განახლდა სოხუმის წისქვილარხანა და წნორის კომბინირებული საკვების, თბილისის, ტყვარჩელის, ქუთაისის, ქობულეთის, ბორჯომის, რუსთავის პურის ქარხნები. ახალი სიმძლავრეები შეემატა პურის საცხობ და საკონდიტრო მრეწველობას თბილისში, ახალციხეში, გალსა და ხაშურში.

ერთი შეხედვით, სამინისტროს თითქოს რთული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს გადასაწყვეტი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე ის არის, რომ ათეული წლების განმავლობაში, ისევე როგორც სხვა დარგებში, ზნეი ძირითადი საზრუნავი იყო წარმოების მოცულობის ზრდა, და არა ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა, საწარმოთა რეკონსტრუქცია-განახლება.

თქვენ თვითონ განსაჯეთ: ფოთის წისქვილკომბინატი, მაგალითად, გათვალისწინებულია დღეღამეში 255 ტონა მარცვლეულის გადასამუშავებლად, სინამდვილეში კი საწარმო 710 ტონას ამუშავებს. ცხადია, რომ ასეთი დატვირთვით მომუშავე კომბინატი შეიძლება მთლიანად გამოვდეს მწყობრიდან. ასეთივე მდგომარეობაშია თბილისის პურპროდუქტების № 1 წისქვილკომბინატი, რაც შეეხება წნორის, სამტრედიის, მახარაძისა და ბორჯომის წისქვილქარხნებს, ბათუმის, ცხინვალის, წითელწყაროს და ნავთლუღის კომბინირებული საკვების საამქროებს, ისინი მოთავსებულია ყოფილ საწყობებში და მუშაობენ პრიმიტიული ტექნოლოგიით, მოძველებული ტექნიკით. ამორტიზებულია თბილისის მაკარონის ფაბრიკის შენობა და მოწყობილობა, ქობულეთის, გუდაუთისა და ოჩამჩირის პურის ქარხნები.

საწარმოო სიმძლავრეების გადატვირთვის შედეგად ამორტიზებულია დანადგარები და შენობები, მათი კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება შეუძლებელია რეკონსტრუქცია-განახლების განუხორციელებლად, საგეგმო და საფინანსო ორგანოებს კი ვერ ვუსაბუთებთ ტექნიკური განახლების აუცილებლობას. ამ და სხვა მიზეზების გამო ჩვენი სისტემის ბევრი ეკონომიკური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

ახლა სამინისტროს შემუშავებული აქვს საწარმოთა რეკონსტრუქციისა და განახლების ძირითადი პროგრამა. იგი გათვალისწინებულია 1995 წლამდე პერიოდისათვის. ამ პროგრამის შესაბამისად უკვე განახლდა სოხუმის წისქვილქარხანა. დაწყებულია თბილისის პურპროდუქტების წისქვილქარხნის განახლებაც, მუშავდება პროექტი ფოთის წისქვილკომბინატის რეკონსტრუქციისათვის. გათვალისწინებულია აგრეთვე კაჭრეთის, ქუთაისის, გორის და სხვა წისქვილკომბინატების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. სისტემის საწარმოთა მუშაობის გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ხარისხს უკავირდება. საერთოდ, საწარმოთა რეკონსტრუქცია-განახლების უპირველესი მიზანიც ხომ ეს არის. უნდა ითქვას, რომ პურის ხარისხის გაუმჯობესებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ფქვილისა და პურის საცხობი დარგების ერთ სისტემაში თავმოყრამ. ახლა პურის ხარისხზე მის მცხობელთან ერთად პასუხს აგებენ როგორც ელევატორის კოლექტივები, ისე ფქვილის წარმოების მუშაკები. თავისი როლი შეასრულა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებამ, რომელიც პურფუნთუშეულისა და მაკარონის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებასა და პურის მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების მატერიალურ დაინტერესებას ეხება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დადგენილების მიღების შემდეგ პურის მრეწველობაში შემობრუნების ხანა დადგა, დღის წესრიგიდან მოიხსნა იმასთან დაკავშირებული პრობლემა, რომ ამ დარგიდან წავიდოდნენ მაღალკვალიფიციური მუშაკები. მიმდინარე წლის დამდეგიდან პურის მრეწველობის მუშების ხელფასმა 20-25 პროცენტით, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისამ 30-35 პროცენტით მოიმატა. ახლა აქ დასაქმებული მუშების საშუალო ხელფასი 200 მანეთს, ხოლო მაღალკვალიფიციური წამყვანი პროფესიის მუშებისა 250 მანეთს აღწევს.

ამავე დადგენილების თანახმად, მიმდინარე წელს პურის ასორტიმენტს დაემატება 6 სახეობის გაუმჯობესებული ხარისხის პური, რომელსაც მსაზრივად უშვებენ სისტემის საწარმოები. პურის კვებითი ღირებულების ამაღლებისათვის ახლა მრეწველობა იყენებს სხვადასხვაგვარ მამდიდრებლებს, ფერმენტულ პრეპარატებს, სხვა აქტიურ ნივთიერებებს. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შემცირდა მომხმარებელთა საჩივრები პურის ხარისხის გამო, და ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ამასთან, ჩვენ სრულიადაც არ გვგონია, რომ ამ მიმართულებით რამე განსაკუთრებულ მივაღწიეთ. არა, პურის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების საქმეში ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

საქართველო არ არის მარცვლეულის მწარმოებელი რესპუბლიკა. აქ მოწეული მარცვლეული ერთ თვესაც არ გვყოფნის. ამიტომ, ჩვენ მთლიანად დამოკიდებული ვართ შემოტანილ მარცვლეულზე. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო რესპუბლიკა სტაბილურად ვერ ღებულობს ისეთი ხარისხის მარცვლეულს, რომლისგანაც არათუ სტანდარტული, არამედ სტაბილურად ერთგვაროვანი ფქვილის გამოშვება მაინც იქნებოდა შესაძლებელი. ეს გარემოება თავისთავად დამატებით სიძნელეებს უქმნის პურის ცხობის მრეწველობის მუშაკებს. პურის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე მისი ტრანსპორტირება საწარმოდან მომხმარებლამდე.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა პურის კონტეინერული გადაზიდვის მასობრივი დანერგვა. განსაკუთრებით გვისაყვედურებენ მაკარონის მდარე ხარისხის გამო, რაც სავსებით სამართლიანია. მისი ხარისხი ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის კონტროლი, რომლის მოვალეობაა არა მარტო აღმოაჩინოს უხარისხო ნაწარმი, არამედ საფუძვლიანად გაერკვეს ყოველგვარ უთავბოლობაში, დასახოს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ფაბრიკაში შეიცვალა ხუთი დირექტორი, ალბათ, ამდენივე მთავარი ინჟინერი და წარმოების უფროსი, მაგრამ მაკარონის ხარისხი პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკლოვანების მიზეზებს უფრო ღრმა, ობიექტური შესწავლა და გადაწყვეტა სჭირდება.

ამორტიზებულია მაკარონის ფაბრიკის შენობაც და მოწყობილობაც, საკავშირო სამინისტროს ოფიციალური კომისიის დასკვნით, ეს საწარმო დაუყოვნებლივ სალიკვიდაციოა. მაგრამ იმის გამო, რომ რესპუბლიკაში მაკარონის შემოტანის საშუალება არა გვაქვს, იძულებული ვართ ვამუშაოთ არსებული ფაბრიკა, მოსახლეობას ხომ ვერ დავტოვებთ უმაკარონოდ. ამჟამად პროექტდება ფაბრიკა, რომლის მშენებლობა 1989 წელს დაიწყება და, ალბათ, ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება. ვიმედოვნებთ, რომ ამით მაკარონის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემაც ზადაიჭრება.

რამდენიმე სიტყვა კომბინირებული საკვების ხარისხზე, კომბინირებული საკვების წარმოების სამძლავრეებით რესპუბლიკა უზრუნველყოფილია. საწარმოებს ტექნიკური აღჭურვილობის დონით შეუძლიათ გამოუშვან ყველა სახეობის სრულფასოვანი კომბინირებული საკვები.

მიუხედავად ამისა, მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები მაინც ხშირად ამიან უკმაყოფილონი საკვების ხარისხით. ეს კი საკვების დამამზადებელი საწარმოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია, ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნოლოგიური პროცესების ზუსტ დაცვას, ზოგი უპატრონო ხელმძღვანელი კი სპეციალურად არღვევს ამ პროცესებს და ქმნის ზედეტ პროდუქციის პირადი გამორჩენისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ,ხვადასხვა დანაშაულისათვის ბევრ მაკარონის მდარე ხარისხის გამო, ორ სასესებით სამართლიანია. მისი ხარისხი ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის კონტროლი, რომლის მოვალეობაა არა მარტო აღმოაჩინოს უხარისხო ნაწარმი, არამედ საფუძვლიანად გაერკვეს ყოველგვარ უთავბოლობაში, დასახოს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ფაბრიკაში შეიცვალა ხუთი დირექტორი, ალბათ, ამდენივე მთავარი ინჟინერი და წარმოების უფროსი, მაგრამ მაკარონის ხარისხი პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკლოვანების მიზეზებს უფრო ღრმა, ობიექტური შესწავლა და გადაწყვეტა სჭირდება.

ამორტიზებულია მაკარონის ფაბრიკის შენობაც და მოწყობილობაც, საკავშირო სამინისტროს ოფიციალური კომისიის დასკვნით, ეს საწარმო დაუყოვნებლივ სალიკვიდაციოა. მაგრამ იმის გამო, რომ რესპუბლიკაში მაკარონის შემოტანის საშუალება არა გვაქვს, იძულებული ვართ ვამუშაოთ არსებული ფაბრიკა, მოსახლეობას ხომ ვერ დავტოვებთ უმაკარონოდ. ამჟამად პროექტდება ფაბრიკა, რომლის მშენებლობა 1989 წელს დაიწყება და, ალბათ, ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება. ვიმედოვნებთ, რომ ამით მაკარონის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემაც ზადაიჭრება.

რამდენიმე სიტყვა კომბინირებული საკვების ხარისხზე, კომბინირებული საკვების წარმოების სიმძლავრეებით რესპუბლიკა უზრუნველყოფილია. საწარმოებს ტექნიკური აღჭურვილობის დონით შეუძლიათ გამოუშვან ყველა სახეობის სრულფასოვანი კომბინირებული საკვები.

მიუხედავად ამისა, მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები მაინც ხშირად ამიან უკმაყოფილონი საკვების ხარისხით. ეს კი საკვების დამამზადებელი საწარმოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია, ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნოლოგიური პროცესების ზუსტ დაცვას, ზოგი უპატრონო ხელმძღვანელი კი სპეციალურად არღვევს ამ პროცესებს და ქმნის ზედეტ პროდუქციის პირადი გამორჩენისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ,ხვადასხვა დანაშაულისათვის

ამჟამად ჩვენ ბევრ ადგილზე ერთ ზემდგომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციაში ძველებურად მუშაობენ.

— მაგრამ, თუ სამეურნეო გეგმები იფუშება, ხომ არ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ. როგორ იქცევით ამ შემთხვევაში?

— ვმოქმედებთ, უწინარეს ყოვლისა, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მეშვეობით. მაგალითად, წელს მეურნეობებში გაჟიანურდა საკვებადამამზადებელი ტექნიკის მომზადება, რამაც შეაფერხა თიბვა. რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ მკაცრად გააფრთხილა სამეურნეო ხელმძღვანელები. პარტიის რაიკომი, თავის მხრივ, ესაუბრა მეურნეობათა პარტორგანიზაციების მდივნებს, დავალეთ ოპერატიულად გარკვეულიყვნენ შექმნილ მდგომარეობაში. პირველადი პარტიული რგოლის უმრავლესობამ გაგვგიგო და სათავეში ჩაუდგა ამ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კამპანიას, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომლებმაც გულთან არ მიიტანეს საქმე, ამიტომაც პარტიის რაიკომს მოუხდა ბიუროს სხდომაზე პრინციპულად შეეფასებინა ასეთების მუშაობა: რატომ არ მოჰკითხეს მკაცრად თავიანთ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს? რატომ არ მისცეს შესაძლებლობა კომუნისტებს გამოეყენებინათ თავიანთი ავტორიტეტი, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება?

— ამას წინათ საჭართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა ლოგობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის ბოლნისის რაიონის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის საკითხი და თქვენს მუშაობას მკაცრი, პრინციპული შეფასება მისცა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— ეს იყო ობიექტური და საგანგებოდ ჩატარებული საუბარი. ამ საკითხზე ბიუროს სხდომაზე ბევრი ვიმსჯელეთ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრ ადამიანს ვესაუბრეთ. ეს ბევრი ... ეს ... ეს ... ეს

ახალი წლიდან ახალი კანონი

დიალოგი სწავლულ იურისტთან

1 იანვრიდან ძალაში შევა „სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“. მისი მოქმედება გავრცელდება საწარმოთა უმრავლესობაზე, რომლებიც ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 60 პროცენტზე მეტს უშვებს.

ამ კანონის საშოქმედოდ შემოღების წინ რედაქციის დავალებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, პროფესორ სერგო ჯორჯანაძეს ესაუბრა იურნალისტი ოთარ კაციტაძე.

ვიდრე კანონის ძირითად დებულებებს განვიხილავდეთ, გთხოვთ მოკლედ მიმოიხილოთ საბჭოთა მეურნეობრობის პირობებში სახელმწიფო სოციალისტურ საწარმოთა დამოუკიდებლობის განვითარების გზა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განხორციელდა სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია. მათი უდიდესი ნაწილი საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მშვიდობიანი მშენებლობის ხანმოკლე მონაკვეთი ინტერვენციამ და სამოქალაქო ომმა შეცვალა, რამაც გამოიწვია მართვის უკიდურესი ცენტრალიზაცია.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში სულ სხვა გითარება შეექმნა. ამ დროიდან სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოებად ითვლებოდა ტრესტები, რომლებიც ცალკეულ ერთეულებს (ქარხანა, ფაბრიკა, შახტი და ა. შ.) აერთიანებდნენ. მათ საქმიანობას აწესრიგებდა 1923 წლის და 1927 წლის დებულებები სამრეწველო ტრესტების შესახებ. საწარმოების მასობრივად გამოყოფა ტრესტებიდან ხდა სამოქალაქო ბრუნვაში მათი დამოუკიდებლად გამოსვლა განხორციელდა 1931 წლის ივლისიდან, როცა საწარმოებს მიეცათ საბრუნავი საშუალებები და გადაყვანილ იქნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ომისწინა პერიოდში საწარმოთა ქონებრივი დამოუკიდებლობა მეტ-ნაკლებად ფართოვდებოდა, ვიდრე ომის პერიოდის აუცილებელმა ცენტრალიზაციამ კვლავ არ გამოიწვია მისი საგრძნობი შეზღუდვა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო 1965 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება სახელმწიფო საწარმოთა შესახებ, რომელიც 1966 წლიდან ამოქმედდა. ეს დებულება სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე ვერ განხორციელდა. უმთავრეს ხელშემშლელ გარემოებად იქცა ის, რომ იგი მოექცა მრავალრიცხოვან საუწყებო ინსტრუქციების ალყაში, რომლებმაც ფაქტობრივად გააბათილა საწარმოთა დამოუკიდებლობა.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში დღემდე საწარმოების სამართლებრივი სტატუსი არასდროს განუსაზღვრავს ისეთი უმაღლესი ძალის იურიდიული აქტს, როგორიც კანონია?

დიახ! კანონით მხოლოდ ახლა მოწესრიგდა კომპლექსური საწარმოს სამართლებრივი მდგომარეობა. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამიერიდან ვერავითარი საუწყებო ინსტრუქცია ან სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი ვეღარ შეცვლის ამას, რაც კანონით არის დადგენილი და გარანტირებული. ყველა ზემდგომი ორგანოს თუ თანამდებობის პირის მოქმედება, როგორც არ შეესაბამება ამ კანონს, განიხილება როგორც კანონის დარღვევა. ყველა თანამდევი შედეგით.

საწარმოთა ოპერატიულ-ქონებრივი დამოუკიდებლობის გაუმართლებელ შეკვეცას მძიმე ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეოანგარიშებრივი უფლებების შეზღუდვა ძირს უთხრიდა მატერიალურ სტიმულირებას, აბრკოლებდა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას, წაქეზებდა ადამიანთა შრომითი და სოციალური აქტიურობის დაქვეითებას, დისციპლინისა და წესრიგის მოშლას. აუცილებელი გახდა ამას ბოლო მოღებოდა.

1965 წლის დებულების ნაკლი ეს იყო, რომ თითქმის უცვლელად ტოვებდა ზემდგომ ორგანოთა ხელმძღვანელ ადმინისტრაციულ როლს, რაც საბოლოოდ იწვევდა საწარმოთა უფლებების შეცვლას და ზოგჯერ მთლიანად გაუქმებასაც კი. სულ სხვა სულისკვეთებით გამოირჩეოდა კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. იგი არა მარტო საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს საწარმოთა ნამდვილ გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე, აგრეთვე თვითმმართველობის განვითარებას, არამედ ყველა ზემდგომ ორგანოს და მის ხელმძღვანელს ავალებს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ პროცესს.

კანონს საყოველთაო განხილვის შედეგად დაემატა 24-ე მუხლი საწარმოს (გაერთიანების) უფლებების დაცვის გარანტიის შესახებ, რომელიც მოითხოვს ყველა ორგანოსაგან ზუსტად შეუსაბამონ ამ კანონს მის პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებით მიღებული ნორმატიული დოკუმენტები.

კანონის მე-9 მუხლით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და სოციალისტური გერგილაანობის განვითარებას. ზემდგომი ორგანო მოვალეა მთელი თავისი საქმიანობით უზრუნველყოს საწარმოს ეფექტიანი მუშაობის პირობები, მტკიცედ დაიცვას საწარმოთა უფლებები, არ ჩაერიოს საწარმოს ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში.

დამეთანხმებით, რომ ამგვარი დეკლარაციის გამოცხადება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მისი პრაქტიკულად განხორციელება. არის თუ არა მყარი გარანტიები, რომ ეს ნორმები აუცილებლად შესრულდება.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ადრინდელი ეკონომიკური რეფორმის მწარე გაკვეთილი. ახლა კანონმა პირველად აქცია ნორმად ის, რასაც ორ ათეულ წელზე მეტია გვთავაზობდა სამოქალაქო სამართლის მეცნიერება. სახელდობრ, წარსულში ზემდგომ ორგანოებს, რომლებიც ხშირად ერეოდნენ საწარმოს ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში, არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ მცდარი, უკანონო გადაწყვეტილებებისთვის. ეს თავის მხრივ წარმოშობდა საწარმოთა უმოქმედობას და საბოლოოდ ქმნიდა უპასუხისმგებლობათა მთელ ჯაჭვს.

ახალი კანონი კი სამინისტროს, უწყებას, სხვა ზემდგომ ორგანოს ნებას რთავს საწარმოს მითითებანი მისცეს მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. თუ ისინი გამოსცემენ აქტს, რომელიც სცილდება მათ კომპეტენციას, ანდა არღვევს კანონის მოთხოვნებს, საწარმოს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო არბიტრაჟს, რათა ეს აქტი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი.

ახალი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ, თუ ზარალი წარმოშობა ზემდგომი ორგანოს იმ მითითებათ, რომელიც საწარმოს უფლებებს არღვევს, აგრეთვე საწარმოს მიმართ ზემდგომი ორგანოს მოვალეობის უნაითო განხორციელების შედეგად, ზარალი ამ ორგანომ უნდა აანაზღაუროს.

კი, მაგრამ გამორიცხული ხომ არ არის, რომ საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელმა არ გაირთულოს ურთიერთობა ზემდგომ ორგანოებთან და მიიფუფქნოს შათ მიერ დაშვებული შეცდომა, რომელმაც საწარმოს (გაერთიანებას) ქონებრივი ზიანი მიაყენა.

საწარმოის (გაერთიანების) ხელმძღვანელს მარტო უფლებები კი არა აქვს, არამედ კანონით განსაზღვრული მოვალეობაც: დაიცვას საწარმოს, გაერთიანების სამეურნეოანგარიშებრივი ინტერესები და დამოუკიდებლობა. ვინც ამას არ აკეთებს, ის ცუდი ხელმძღვანელია. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის თებერვლის დადგენილება სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინის გამტკიცებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ, ითვალისწინებს, რომ სამეურნეო ხელმძღვანელებმა თავი არ აარიდონ დავას ზემდგომ ორგანოებთან. ამის შეუსრულებლობისათვის დაწესებულია სათანადო სანქციებიც.

ყოველივე ეს ხომ არ გამოიწვევს საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების როლის შესუსტებას, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის დაკვეთებას?

არავითარ შემთხვევაში. საწარმოს, გაერთიანების დამოუკიდებლობა არ გულისხმობს გეგმიან ხელმძღვანელობაზე უარის თქმას. მისი მიზანია შიქმნას ოპტიმალური თანაფარდობის საფუძვლები ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და საწარმოს დამოუკიდებლობას შორის.

სახელმწიფო საწარმოთა რეალური ქონებრივი დამოუკიდებლობა არ გამოიწვევს ცალკეულ საქონელმწარმოებელთა შორის საერთო-სახალხო საკუთრების ერთიანი ფონდის გახლეჩვას. პირიქით, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა კოლოსალური შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენების გზით კიდევ უფრო განმტკიცდება წარმოების საშუალებათა სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება. ახალი კანონის მთავარი მიზანი სწორედ ეს არის. ამასთან, ზემდგომ სამეურნეო ორგანოთა საქმიანობაში პრიორიტეტი ადმინისტრაციულ მეთოდებს კი აღარ ენიჭება, არამედ მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას.

გეგმიანობისა და სამეურნეო ანგარიშის, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გონიერი შეხამება თხოულობს მასების შემოქმედებით მობილი თვითმმართველობის ახალი ფორმების შემდგომ გაფართოებას. ეს აისახა საწარმოთა მდგომარეობის ახლებურად განსაზღვრაში.

კანონის პირველ მუხლში „განსაზღვრულია, რომ საწარმო, თავისი პროფილის მიუხედავად, ამგვარი შესაძლებლობა სხვადასხვა ფილიალების შექმნისა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმაც უნდა გამოიყენონ იმ რეგიონებში, სადაც არის შრომითი რესურსების ხელსაყრელი პირობები. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფო საწარმოები ხელს უნდა უწყობდნენ მათთან კოოპერატივების შექმნას, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებით ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას.

სახელმწიფო საწარმოთა შესახებ 1965 წლის დებულების ქმედითობა საგრძნობლად გაიაქარწყლა იმან, რომ იგი მრავალი საუწყებო ინსტრუქციების ალყაში აღმოჩნდა. განა ახლა კი გამორიცხულია ამგვარი საშიშროება. გამოთვლილია, რომ ამჟამად ასეთი ინსტრუქციების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 12 ათასს აჭარბებს.

ვფიქრობთ, ეს საშიშროება თავიდანაა აცილებული, ვინაიდან ახალი კანონის მიღების შემდეგ ინსტრუქციათა უდიდესმა ნაწილმა ძალა დაკარგა.

ახლა სამეურნეო მმართველობის ზემდგომი ეშელონები მხოლოდ იმ აუცილებელ განკარგულებებს, ცირკულარებს და რეკომენდაციებს უნდა იძლეოდნენ, რომლებიც კი არ ბოჭავს, არამედ მხოლოდ ხელს უწყობს საწარმოს და გაერთიანების ოპერატიულ-სამეურნეო მოღვაწეობას და ინიციატივის გამლას. მაშასადამე, საუწყებო ინსტრუქციები მთლიანად არ აკრძალება, მაგრამ მათი რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდება. ამის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ აუცილებელია „მკაცრ იურიდიულ ჩარჩოებში მოვაქციოთ საუწყებო ნორმათმოხზველობა“.

როგორც ხანგრძლივი პრაქტიკით არის დადგენილი, არასოდეს გამოცემულა იდეალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც თავისუფალია ხარვეზისაგან. საუწყებო ინსტრუქციების მასობრივად ძალის დაკარგვის ვითარებაში, როგორ უნდა მოწესრიგდეს სამეურნეო სამართლებრივი ურთიერთობა, თუ ახალ კანონს აშკარა ხარვეზი აღმოაჩნდა?

რასაკვირველია, კანონს საწარმოს (გაერთიანების) შესახებ შესაძლოა ჰქონდეს ხარვეზები. ეს გარემოება კანონმდებლისათვის აც არის ცნობილი. ამის მიუხედავად იგი არის კარგი იურიდიული ბაზა, რომელიც პრაქტიკული გამოყენების პროცესში გამოაჩენს თავის შუქ-ჩრდილსა და საბოლოოდ ხელს შეუწყობს მის სრულყოფას. ისე კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი სხვა მოქმედი იურიდიული აქტებისაგან განსხვავებით მაქსიმალურად ერიდება მითითებას სხვა ნორმატიულ აქტზე. ეს კარგად უნდა შეითვისონ სამეურნეო ხელმძღვანელებმა და სწორედ მას დაეყრდნონ თავის მოღვაწეობაში. ამიერიდან უნდა გამორიცხონ ის მცდარი წარმოდგენა, რომ თუ კანონს არ დაარღვევ, ვერაფერს მიაღწევ. ახალი კანონი ახლა აღარ არის ხელის შემშლელი ძალა. იგი სამეურნეო მუშაკის მხარეზეა, იცავს მის ინიციატივას და ახლისებს მის საწარმოო საქმიანობას.

კი, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, თუ საწარმოს ხელმძღვანელის ინიციატივა შეფასდა, როგორც კანონსაწინააღმდეგო და წახალისების ნაცვლად, დადგა მისი პასუხისმგებლობის საკითხი? ამის მაგალითები ახლო წარსულში ბევრი გვხვდებოდა.

ეს არაგზით არ შეეხება საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის ზიერ გამოჩენილ აქტიურობასა და ინიციატივას, თვით გონივრულ საწარმოო რისკსაც. ახლა სამეურნეო საქმიანობაში კანონსაწინააღმდეგად ითვლება მხოლოდ ის, რაც კანონით აკრძალულია და არა ის, რაც შემმოწმებელს ეჩვენება ასეთად. ამ მიდგომას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. ამიტომ ამბობდა მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, რომ „მეურნეობრიობის სფეროში ამა თუ იმ მოქმედების კანონიერებისა და უკანონობის საკითხში ბუნდოვანება მთლიანად უნდა გამოირიცხოს. უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ ზოგადსამართლებრივ პრინციპს. „ნება დართულია ყოველივე, რისი კეთებაც არ არის აკრძალული კანონით“. ახალი კანონი აქტიურობისა და ინიციატივის, წახალისების ძირითადი ორიენტირებია, ამიტომ წარმოების ხელმძღვანელი თავიდანვე ფიქრილისტურად კი არ უნდა განეწყოს და იმაზე იფიქროს როგორ აუაროს გვერდი კანონს, არამედ სწორედ ამ კანონის საფუძველზე ეწეოდეს თავის ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობას.

ზოგიერთი გაკვირვებულია რა აუცილებლობამ გამოიწვია საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონში მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეტანა: „სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებათა გამო. საწარმო პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვალდებულების გამო“.

ეს სულაც არ არის ახალი. იგი გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1923 წლის დებულებაში სამრეწველო ტრესტების შესახებ. აქ საქმე გვაქვს სახელმწიფო ქონების საერთო-სახალხო საკუთრების განცალკევებულ ნაწილის საწარმოებისათვის გადაცემასთან. ქონების განცალკევებულობა იწვევს განცალკევებულ პასუხისმგებლობას, ლაპარაკია სწორედ ქონებრივ, მატერიალურ პასუხისმგებლობაზე. სიტყვა „პასუხისმგებლობა“ ომონიმია, რომელსაც კანონმდებელი სხვადასხვა აზრით ხმარობს. ამიტომ ჩვენი ვალია კარგად განვასხვავოთ მატერიალური ქონებრივი პასუხისმგებლობა მთელი საწარმოსი და პერსონალური პასუხისმგებლობა თანამდებობის პირისა, ანდა თანამშრომლებისა, რაც თავის მხრივ შეიძლება იყოს დისციპლინარული, ადმინისტრაციული თვით სისხლის სამართლებრივიც კი.

თავისთავად ისინი შეიძლება პარალელურად მოქმედებდნენ და არც ცვლიდნენ ერთმანეთს. ვალდებულ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობა სულაც არ ათავისუფლებს საწარმოს ვალდებულების რეალურად შესრულებისაგან. ომისწინადროინდელ საარბიტრაჟო პრაქტიკაში ასეთი კაზუსიც გვხვდება, ლენინგრადის ერთ-ერთმა საწარმომ მიწოდების ხელშეკრულება არ შეასრულა. ამისათვის არბიტრაჟმა ყადაღა დაადო დირექტორის პერსონალურ მანქანას. ამან გასჭრა, თუმცა ეს არ არის გაჯიუტებულ ხელმძღვანელზე ზემოქმედების მისაბაძი მაგალითი.

ვინც უკეთესად მუშაობს, შესაბამის ახალფაურებასაც უნდა იღებდეს და პირიქით, ცუდი მუშაობისათვის საწარმოს პასუხისმგებლობას შეუძლია შეამციროს სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავლის ნაწილი და ამით ზემოქმედება მოახდინოს თანამშრომლებზე.

ცნობილია, თუ რა აურაცხელი ზიანი მოგვიტანა უხარისხო, მდარე არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებამ, რომლის გამო არა თუ ვინმე ისჯებოდა, პრემიებსაც კი იღებდნენ, მაშინ როდესაც საწყობები ივსებოდა ჩაწოლილი საქონლით. რა არის გათვალისწინებული ამის თავიდან აცილებლად?

წინასწარგანზრახული უპასუხისმგებლობისათვის წარმოების ხელმძღვანელი მკაცრად უნდა დაისაჯოს. ახალი კანონის იურიდიული მექანიზმის როლი უაღრესად ქმედითია პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. ახლა საწარმოს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მოძველებული ნაწარმის და მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, საწარმოს ხელმძღვანელები და შემმუშავებლები კი გარდა იმისა, რომ ზარალდებიან მატერიალურად, პასუხს აგებენ დისციპლინარული წესითაც.

მეტად მნიშვნელოვანი ნორმატიული სიახლეა საწარმოების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი. „თუ საწარმოს სისტემატურად აწვდიან პროდუქციას, რომლის ხარისხი არ შეესაბამება მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს ან დადებულ ხელშეკრულებებს, მას უფლება აქვს ცალმხრივი წესით მოშალოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოითხოვოს ამით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება“.

დასასრულ, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ახალი კანონის ქართულ ტექსტზე, რომლის სრულყოფისათვის საჭიროა ქართველ ეკონომისტთა და ენათმეცნიერთა გულდინჯი შრომა.

ულტიმატუმი
საკვლევი იუწყება
22 დეკემბერი
ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტი

პრესა ადასტურებს

„ამერიკული ქოლგის“ იაპონური ვარიანტი

ტოკიო. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ იაპონიის მთავრობას და ამ ქვეყნის კერძო კომპანიებს „შესთავაზა“ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის „იაპონური ვარიანტის“ შექმნის მიზნით კვლევითს სამუშაოებში.

როგორც გაზეთი „ნიხონ კეიძაი“ იუწყება, ვაშინგტონს ეს პროექტი მიაჩნია ამერიკული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შემადგენელ ნაწილად, თუმცა იგი „იაპონიის თავდაცვისათვის“ იქნება გათვალისწინებული. პროექტით ნავარაუდევია ამომავალი მზის ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ფართოდ გამოყენება უახლესი სამხედრო ტექნოლოგიის დაშუშავებაში და იაპონიის მონაწილეობა კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებში.

იაპონიის ექვსი კომპანია — „მიცუბიში ძიუკოგიო“, „მიცუბისი დენკი“; „ნიხონ დენკი“, „ფუძიცუ“, „ნიხონ მუსენი“ და „ჰიტატი სეისაკუსიო“ — უკვე გეგმავს ერთობლივ ღონისძიებას ახალ წელს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შესაბამისი შეკვეთების მისაღებად. ამ საკითხზე კონსულტაციებს უკვე შეუდგნენ ამერეგვი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეროვნული თავდაცვის სამმართველო და საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. როგორც ცნობილია, იაპონიის მთავრობამ ამა წლის იანვარში ვაშინგტონან დადო შეთანხმება ამერიკის „ვარსკვლავიერის ომების“ პროგრამაში იაპონიის მონაწილეობის პირობების თაობაზე.

● აშშ

სენატორები მხარს დაუჭერენ

ვაშინგტონი. ათმა რესპუბლიკელმა სენატორმა, რომლებიც შეადგენენ საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ დადებული ხელშეკრულების შემსწავლელი სპეციალური სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, განუცხადა პრეზიდენტს, რომ „არსებითად მხარს დაუჭერენ“ ახლახან გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე დადებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებას.

ეს განაცხადა თეთრ სახლში პრეზიდენტ რეიგანთან და ამ ჯგუფის წევრებთან ორშაბათს გამართული მორიგი შეხვედრის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა რობერტ დოულმა.

აქ გავრცელებულ განცხადებაში დოულმა ასაბ უწოდა „დიდი ნაბიჯი“ საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების გამო სენატში კენჭისყრის დროს რეაპუბლიკელთა დიდი უმრავლესობის მხრივ მხარდაჭერის მიღწევის გზაზე. ამასთან, როგორც დოულმა თქვა, პრეზიდენტთან შეხვედრის დროს გამოითქვა „სხვადასხვა აზრი“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ხოლო ზოგიერთ სენატორს არ დაუფარავს „შეშფოთება მისი გარკვეული ასპექტების გამო“.

თეთრ სახლში გამართული შეხვედრის მეორე მონაწილემ — სენატორმა ინდიანის შტატისაგან რიჩარდ ლუგარმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: რეპუბლიკელთა სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრები შეეჰკიოდნენ პრეზიდენტს, რომ წინააღუდგებიან ყოველგვარი შესწორების შეტანას, რომლებმაც შეიძლება გზა გადაუკეტოს საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას. ამავე დროს ლუგარმა მიანიშნა, რომ რეიგანს არ გამოუთქვამს აზრი იმის წინააღმდეგ, რომ სენატორებმა წერილობით ჩამოაყალიბონ თავიანთი შენიშვნები ამ შეთანხმების თაობაზე რატიფიკაციის გამო კამათის დროს.

◆ ავღანეთი

ნებდებიან ხელისუფალთ

ქაბული. პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ამნისტიის შესახებ ბრძანებულების თანახმად, გუშინ ქაბულისა და ნიმრუზის პროვინციების საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს კიდევ 129 პატიმარი, რომლებიც გასამართლებული იყვნენ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის.

სახალო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა შეიარაღებულმა ჯგუფმა 22 კაცის შემადგენლობით იარაღი დაყარა ყუნდუზის პროვინციაში. ამ ფორმირების მებრძოლებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სისტემატურის შეწყვეტის კურსს.

ამასთან კონტრრევოლუციის შეურიგებელი ნაწილი განაგრძობს მოსახლეობის ტერორიზებას, ცდილობს დათესოს სახალხო ხელისუფლების ძალებისადმი უნდობლობა. რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები დარტყმებს აყენებენ ექსტრემისტთა ბანდებს. ლაგმანის პროვინციის კარგის მაზრაში უშიშროების ძალებმა მოსპეს დანშაავეთა ჯგუფი, რომელიც ეწეოდა ძარცვასა და მკვლელობას.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ პანბერა. მიმდინარე წელს ავსტრალიაში, შარშანდელთან შედარებით, მოხდა სულ ცოტა 80 პროცენტით მეტი შეიარაღებული ძარცვა. ასეთ უნუგეშო მონაცემებს შეიცავს ავსტრალიის ბანკების ასოციაციის მიერ მომზადებული მოხსენება. მარტო მიმდინარე წლის პირველი ცხრა თვის მანძილზე ქვეყანაში აღრიცხულია 439 თავდასხმა ძარცვის მიზნით.

◆ ლუანდა. 111 წლის რუს იზაბელ მაშადუს ერთი ჭაღარაც არ ურევია. ადრიკაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 50 წელია და ლუანდის უხუცესი მცხოვრების დღეგრძელობა უიშვიათესი მოვლენაა არა მარტო ანგოლის, არამედ მთელი კონტინენტისათვის.

● თურქეთი

შეიქმნა ახალი მთავრობა

ანკარა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თურგუთ ოზალმა გამოაცხადა ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა მოიწონა. მინისტრთა საბჭო 23-დან გაფართოვდა 25 კაცამდე, კერძოდ, შემოღებულია ორი ახალი სახელმწიფო მინისტრის პოსტი. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა მესუთ იილმაზი, რომელიც აქამდე კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს უძღვებოდა. ეროვნული თავდაცვის სამინისტროს სათავეში ჩაუდგა ერჯან ვურალ ხანი. მთავრობის მეთაურის უფროსი ძმა იუსუფ ოზალი დანიშნეს სახელმწიფო მინისტრად. ახალ კაბინეტში შეყვანილი ერთადერთი ქალი — იმრენ აიუტი — დაიკავებს შრომის მინისტრის პოსტს.

მმართველმა მამულის პარტიამ მოიპოვა უფლება ჩამოეყალიბებინა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მეორე ერთპარტიანი მთავრობა პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში გამარჯვების შედეგად. როგორც ანატოლიის საგაზეთო იუწყება, უახლოეს ხანს მინისტრთა საბჭო პარლამენტს წარუდგენს მთავრობის პროგრამას.

ექსპერტთა აზრი

ეპიდემია, რომელმაც საზღვარი არ იცის

ნიუ-იორკი. „ეს არის ეპიდემია, რომელმაც არ იცის გეოგრაფიული, სოციალური, რასობრივი თუ კულტურული საზღვრები, რომლის ლიკვიდაციისათვის საჭიროა მსოფლიოს ყველა ქვეყნის გაერთიანებული ძალისხმევა“ — ასეთია მთავარი დასკვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამოქვეყნებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის მმართველთა საბჭოს მოხსენებისა შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

1981 წელს პირველად დიაგნოსტირებული შიდსი ახლა გავრცელდა გლობალური ეპიდემიის მასშტაბამდე, აღნიშნულია დოკუმენტში. თუ 1981 წელს შიდსით დაავადების შემთხვევები აღირიცხა რვა ქვეყანაში, მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში უკვე წარდგენილია ოფიციალური მონაცემები 127 ქვეყანაში 62.811 დაავადების შემთხვევის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ დაავადების რეგისტრირებული შემთხვევები გაცილებით ნაკლებია იმ ადამიანთა რიცხვთან შედარებით, რომლებიც დაავადებული არიან შიდსის ვირუსით. „საშინელი ავადმყოფობის სიმპტომები შეიძლება არ გამოვლინდეს ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში შიდსის ვირუსით ადამიანის დაავადების შემდეგ“, — ნათქვამია მოხსენებაში.

შიდსის ეპიდემია ეხება როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს და საფრთხეს უქმნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას 20-დან 49 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგად, აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა.

შიდსის გლობალური ეპიდემია, აღნიშნეს ავრეთვე მოხსენების ავტორებმა, საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დაცვასაც. როცა შიდსის ვირუსით ავადდებიან ორსული ქალები, იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რეგიონში შიდსის ვირუსით იბადება მრავალი ბავშვი. ამ ვირუსისა და სხვა დაავადებების ურთიერთმოქმედება იწვევს ინფექციების წარმოშობას, ხოლო შიდსით დაავადებულთა მკურნალობა მოითხოვს უზარმაზარი სახსრების გამოყოფას ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის ისედაც შეზღუდული ბიუჯეტებიდან. შიდსთან დაკავშირებულ საკითხებში გაუთვითცნობიერება და შიში, აღნიშნულია დოკუმენტში, არღვევს ადამიანთა შორის საარსებოდ მნიშვნელოვან სოციალურ კავშირს და შემდგომში შეუძლია პოლიტიკური ხასიათის პრობლემებიც კი წარმომშვას.

● ავსტრალია

„ამერიკული ქოლგის“ იაპონური ვარიანტი

ფოტოფაქტი

პენტაგონის საცეცები



THE U.S. STAKE

	Personnel	Spending
Navy, Marine Corps	15,763	$287 mil.
Air Force	12,315	$241 mil.

Note: Personnel figures include active-duty military and civilian personnel. USN&WR—Basic data: U.S. Dept. of Defense

კლარკ-ფილ დი, სუბიჭ-ბეი... ეს ორი სახელი ფილიპინების არქიპელაგის, წყნარი ოკეანის აუზის ყველა მცხოვრებმა იცის. მათს შესახებ ბევრი იწერება უურნალ-გაზეთებში, ლაპარაკობენ რეგიონის პოლიტიკური მოღვაწეები, მათ შეუნელებელ ყურადღებას მიაპყრობს აზიისა და ოკეანიის საზოგადოებრიობა. ასე ეწოდება ამერიკის შეერთებული შტატების ორ მსხვილ სამხედრო ბაზას, რომლებიც ფილიპინებისტერიტორიაზეა განლაგებული.

პენტაგონის ამ სამხედრო ობიექტებზე სრული საბრძოლო მზადყოფნით სამსახურს გადის 18 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი, მფრინავი და საზღვაო ქვეითი.

ამ სამხედრო ძალას რომ ფლობს, ვაშინგტონის ადმინისტრაცია ნეოგლობალიზმის პოლიტიკას ახორციელებს რეგიონში, ცდილობს ფილიპინების და მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, ძალისმიერ ზეწოლმედებას ახდენს მათს მთავრობებზე.

**იქნებ ეს ობიექტები ფილიპინების უშიშროების გარანტიაა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, არც არის საჭირო, ისედაც ყველაფერი ნათელია. ოღონდ აღსანიშნავია ის, რომ კლარკ-ფილდი და სუბიჭ-ბეი უშუ

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲗ...

ᲐᲛ რამდენიმე დღის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის ერთობლივი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე მოხსენება — „ქართული ეთნოგრაფია და დღევანდელობა“ — წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ალექსი რობაქიძემ.

მხოლოდ იმ პირობით, რომ სხდომა, როგორც იტყვიან, არა ზარ-ზეიმით, არამედ საქმიან ატმოსფეროში, ეთნოგრაფიის წინამძღვარი ყველაზე უფრო სადღეისო და საჭირბოროტო პრობლემების განხილვის სულისკვეთებით გაიმართებოდა, დაიყოლიეს ღვაწლმოსილი სწავლული, ჩვენი იმდღევანდელი მომხსენებელი, რომ აღნიშნულიყო მისი დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი.

ეს იყო იუბილარის პრინციპული გადაწყვეტილება, თუმცა არც მას, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის აღიარებულ წინამძღოლს, და არც მის თანამოსაქმეებს არ აკლდათ საბაბი ჩვენში უკანასკნელ ხანს ეგრერიგად ფართოდ გავრცელებული მასშტაბური საიუბილეო ზეიმი გაემართათ.

გ. ᲯᲔᲚᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: ალექსი რობაქიძე ავტორია პირველხარისხოვანი გამოკვლევებისა ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების სამეურნეო ყოფისა და სოციალური ორგანიზაციის, მათი თანამედროვე ყოფის საკითხებზე, ეთნოსის თეორიის, ეთნოგრაფიის ისტორიისა და მეთოდიკის დარგში. ფაქტობრივად იგი საქართველოში კავკასიოლოგიური ეთნოგრაფიის ფუძემდებელია. მისი მრავალი ნაშრომი გამოქვეყნებულია ჩვენშიც და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებშიც.

დღეს იგი ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობს ი. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილ სოციალურ-კულტურული ტრადიციების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრს...

შტრიხი საიუბილეო-სამეცნიერო სხდომიდან: სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ. მხნედ, ენერგიით აღსავსე ეგებება დაბადების 80 წლისთავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსი რობაქიძე.

თუმცა მის ასეთ სულიერ და ფიზიკურ სიმხნეზეც საკვირველიც არაფერია. კავკასიურ დღეგრძელობას ჩვენი გამოჩენილი სწავლული, მოქალაქე, მეგობარი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის „პროფილითაც“ იმსახურებს...

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

კორესპონდენტი: ბატონო ალექსი, ცნობილია, რომ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. თქვენ, მაშინ სრულიად ახალგაზრდას, წილად ვხვდით ბედნიერება ყოფილიყავით დიდი ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სხვა სახელოვან სწავლულთა გვერდით...

ალ. რობაქიძე: დიახ, მე დიდად მადლიერი ვარ ამ მხრივ ჩემი ბედისა.

ეს ის დრო იყო, როცა ბალავარი ეყრებოდა ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიას, რომელსაც ახლა ასეთი სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენშიც და უცხოეთშიც, და რომელსაც აფწლეულებს განმავლობაში ღირსეულად თავკაცობდა ჩვენი ბრწყინვალე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ჩიტაია.

მათ ამაგს რა გადაიხდის!

ისიც კი, რითაც დღეს მეცნიერების ის დარგი ამაყობს, რომელსაც მე ვემსახურები, მათი თავდადებული გარჯის ნაყოფია პირველყოვლისა.

აბა, რას შეიძლება მოენიჭებინა დღეს ჩემთვის იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე იმ მიღწევებსა და ჯერაც გადაუჭრელ პრობლემებზე დაინტერესებულ, საქმიან მსჯელობას, რაც ჩვენს ეთნოგრაფიაშია.

კაცის იუბილე, თუ მან, მართლაც, რაიმე შემატა საქმეს, პიროვნების რეკლამა კი არა, სწორედ ამ საქმეზე ფიქრი და მის მომავალზე ზრუნვა უნდა იყოს.

აი, მე, მაგალითად, გულწრფელად მიმიჩნია, რომ ზოგმა ორატორმა მაინც გადააჭარბა, როცა სხდომაზე ეთნოგრაფიაში ჩემს მიერ შეტანილ წვლილზე ილაპარაკა...

კორესპონდენტი: მე რატომღაც ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია. მერე რა, თუ ზოგიერთები ეპითეტებსაც არ მოერიდნენ.

ბევრი მათგანი ხომ თქვენი ძველად, დიდი ბრძოლისა და თავდადების ფასად იმაგრებდა ფესვს. საკმარისი იყო მცირეოდენი ახალგაზრდული დაუდევრობა და ცხოვრებას შეეძლო სულ იოლად გაემეტებინე.

ვინ იცის, რამდენს ელოდა ასეთი მწარე ხვედრი, ჩვენი დიდებული მასწავლებლები რომ არა.

ზოგი მათგანი თავად უაღრესად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ღარიბი მოწაფისათვის თბილ წინდასა თუ წიგნებს დაუნანებლად იყიდდა...

სხვათა შორის, ასე იყო უნივერსიტეტშიც.

მაშინდელ ასპირანტებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ მეცნიერ ხელმძღვანელებთან. სამუშაოდ, სადისკუსიოდ ისინი ოჯახშიც სისტემატურად მიდიოდნენ მასწავლებლებთან, ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრი მეცნიერი ხშირად მატერიალურ დახმარებასაც უწევდა ასპირანტებს. ასეთი დიდი ზრუნვით გამთბარი ურთიერთობა კი არასოდეს გადაიზრდებოდა ხოლმე ფამილარობაში.

ადამიანს გარემო ზრდის.

აბა, თავად განსაჯეთ, რა ზეგავლენა უნდა მოეხდინა ახალგაზრდებზე ამგვარ ახლო ურთიერთობას ივანე ჯავახიშვილთან, აკაკი შანიძესთან, კორნელი კეკელიძესთან, გიორგი ახვლედიანთან, შალვა ნუცუბიძესთან, სიმონ იუხარიშვილთან, სიმონ ჯანაშიასთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ნიკოლოზ ბერძენიშვილთან, მიხეილ ზანდუკელთან, გიორგი ჩუბინაშვილთან...

გიორგი ჩუბინაშვილი: ის რომ სამსახურში მოვიდოდა, შეგეძლოთ საათი გაგესწორებინათ...

შტრიხი საიუბილეო სამეცნიერო სხდომიდან: ბატონი ალექსის მათემატიკის მასწავლებელი აბესალომ ხევსურიანი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი მოწაფე ცნობილი მათემატიკოსი დადგებოდა, ხოლო ნინო ნაკაშიძემ სრულიად ყმაწვილს დაუბეჭდა პირველი ლექსი გაზეთ „მოწაფის ხმაში“ და პოორარიც გამოუწერა — მანეთი და 20 კაპიკი.

კორესპონდენტი: თქვენი საბოლოო არჩევანი კი ეთნოგრაფიაზე შეჩერდა თქვენთვის მარად დაუვიწყარი იმ დღიდან, როცა ქართველ საბჭოთა ეთნოგრაფთა პირველი ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც შევიდნენ გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე, ლუბა ბოჭორიშვილი, ალექსი რობაქიძე.

თქვენმა დღევანდელმა მოხსენებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რამდენი დიდი საქმე დაუგვირგვინებია წარმატებით ქართველ ეთნოგრაფებს.

რა მიგაჩნიათ ახლა, მისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ყველაზე საშურ და საყურადღებო პრობლემად?

ალ. რობაქიძე: არაერთხელ მითქვამს და ახლაც მოგახსენებთ: ჩვენში ისტორიული ეთნოგრაფია მკვიდრ ნიადაგზე დგას და თვალსაჩინო მიღწევები აქვს, თანამედროვეობის მესწავლას კი რატომღაც ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ.

დარწმუნებული ვარ, თუ ამ მხრივ მკვეთრი შემობრუნება არ მოხდა, ეთნოგრაფიის რეზერვები ფუჭი აღმოჩნდება.

მოგეხსენებათ, ეთნოგრაფიის ძირითადი საგანი ხალხური ტრადიციაა, რომელიც თავისი ბუნებით მრავალფუნქციურია.

საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ტრადიციის შესატყვისი ფუნქცია დარდებოდა ხოლმე. სადღეისოდ აქცენტი ტრადიციის ეთნოკულტურულ ფუნქციაზეა გამახვილებული.

გვახსოვს დრო, როცა ამნაირი აქცენტები სულ სხვაგვარ შეფასებას იმსახურებდა. არც ის დროა მაინცდამაინც შორეული, როდესაც ძალიან მოკრძალებით თუ წამოიჭრებოდა საკითხი: არის თუ არა ხალხური ტრადიცია ეთნოსის განმსაზღვრელი ნიშანი: დღეს ეროვნული ტრადიციის პრობლემამ ეთნოგრაფიაში თავისი მკვიდრი ადგილი დაიკავა და, ვფიქრობთ, უკვე საბოლოოდ. ძირძველი ხალხური პროგრესული ტრადიცია მჭიდროდ დაუკავშირდა თანამედროვე ცხოვრების წესის საკითხს, რომელიც, თავის მხრივ, კულტურაში ეროვნულისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის პრობლემის ნაწილია.

ახლახან რუსულ ენაზე გამოცემულ „ეთნოგრაფიულ პარალელებში“ მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ დებულება მომავალში საკაცობრიო კულტურის ერთფეროვნების შესახებ ეწინააღმდეგება ვ. ი. ლენინის ცნობილ თეზისს: „არაფერია მასზე უფრო თეორიულად უბადრუკი და პრაქტიკულად სასაცილო, ვიდრე მომავლის ხატვა ერთფერი რუხი საღებავებით“.

ცხოვრების სოციალისტური წესი კი არ გამორიცხავს მის შიგნით ეროვნული მოდელების არსებობას, არამედ გულისხმობს მათ უწყვეტ ფუნქციონირებას იმ უშრეტი წყაროების სახით, რომლებიც გამუდმებით ამდიდრებენ საკაცობრიო კულტურას. დღევანდელობაც ხომ მსოფლიო მასშტაბით გამოირჩევა, ერთი მხრივ, კულტურის მზარდი ინტეგრაციით, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური თვითშეგნების გაღრმავებით. ამ მოვლენას ზოგი ავტორი რატომღაც „ეთნიკურ პარადოქსს“ უწოდებს მაშინ, როცა ეს პროცესი სავსებით ბუნებრივია და არაფერს პარადოქსულს არ შეიცავს.

საქართველო უძველესი ენისა და დამწერლობის, უდიდესი არქეოლოგიური ძეგლებისა და ძირძველი ეთნიკური ტრადიციების ქვეყანაა. აქ ყველა პირობაა საიმისოდ, რომ საქართველოს ეთნოგრაფიამ, რომელმაც განვლო თავისი განვითარების რთული და აღმავალი გზა, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს არა მარტო ისტორიის, არამედ თანამედროვეობის აქტუალური საკითხების შესწავლაში, როგორც ქართული, ისე ზოგადი ეთნოგრაფიის თვალსაზრისით.

შტრიხი საიუბილეო სამეცნიერო სხდომიდან: კათედრაზე ერთმანეთს ენაცვლებიან ორატორები. ისმის სიტყვები ქართულ, რუსულ, სომხურ, აფხაზურ, აზერბაიჯანულ, ოსურ... ენებზე. ეს ფაქტი ღრმა, ტევადი შინაარსის შემცველია. ამრიგადაც ორატორები ხაზგასმით გამოკვეთენ ქართველი სწავლულის დამსახურებას არა მარტო ქართული, არამედ კავკასიისა და მთელი საბჭოთა ეთნოგრაფიის წინაშე.

სააქტო დარბაზში მოდიან ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ პროფესორ ალექსი რობაქიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო — ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა, ამ ახალგაზრდებმა კი ღვაწლმოსილ მეცნიერს ერევნის უნივერსიტეტის მედალი გადასცეს.

დღევანდელი დღე მათთვის და მათი თბილისელი თანატოლებისთვის სხვა მხრივაც სამახსოვროა; გამოჩენილი მეცნიერის იუბილესადმი მიძღვნილმა სხდომამ, რომელიც ასე გამოირჩეოდა სისადავითა და უშუალობით, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რაოდენ ყაოლგაუვალია დიდი მწერლის შეგონება: „... რად გვინდა ტაში, რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ“.

აი, ასეთ სამსახურშია ნამდვილი ადამიანური ბედნიერება.

თ. მეტრეველი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ.

დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ანგარიში სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში განსაკუთრებით პასუხსაგებია ყოველი კომპოზიტორისათვის, რადგანაც მას ხელოვნების მკაცრი შემფასებლები იბარებენ. მით უფრო სასიხარულოა აქ ყოველი წარმატება, ამჯერად

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ქართველმა ხელოვნების ოსტატებმა ჩააბარეს. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტ-შეხვედრაზე წარმატება ხვდა გურამ პაატაშვილის საბალეტო სიუიტა-პოემას თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების ნათელა არობელიძისა და ნუგზარ მახათელის შესრულებით.

აქვე წარმოადგინეს ამავე კომპოზიტორის მინი-ოპერა „სიზმარი ტყეში“.

▼▼

ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ Მ. ᲒᲚᲘᲜᲙᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ გამართულ კონფერენციას თემაზე „ოცდაათ წლების საბჭოთა მუსიკალური კულტურა“ წინ უძღოდა გამოფენა „ოცდაათ წლების საბჭოთა მუსიკალური კულტურა ლიტერატურასთან, სახვითს ხელოვნებასთან, თეატრთან კავშირით“, რომელზეც წარმოდგენილი იყო თბილისის თეატრის, მუსიკის, კინოს, მუზეუმის ექსპონატები. მნახველს საშუალება აქვს დაათვალიეროს (ცნობილი ოსტატების ე. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, ი. გამრეკელის, კ. ზდანევიჩის მიერ შესრულებული დეკორაციული ესკიზები.

▼▼

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲣᲮᲡᲮᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲧᲐᲪᲠᲘ ᲨᲔᲛᲤᲐᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲘᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲘᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲐ ᲐᲥ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ქართველმა ხელოვნების ოსტატებმა ჩააბარეს. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტ-შეხვედრაზე წარმატება ხვდა გურამ პაატაშვილის საბალეტო სიუიტა-პოემას თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების ნათელა არობელიძისა და ნუგზარ მახათელის შესრულებით.

აქვე წარმოადგინეს ამავე კომპოზიტორის მინი-ოპერა „სიზმარი ტყეში“.

▼▼

ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ Մ. ᲒᲚᲘᲜᲙᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ გამართულ კონფერენციას თემაზე „ოცდაათ წლების საბჭოთა მუსიკალური კულტურა“ წინ უძღოდა გამოფენა „ოცდაათ წლების საბჭოთა მუსიკალური კულტურა ლიტერატურასთან, სახვითს ხელოვნებასთან, თეატრთან კავშირით“, რომელზეც წარმოდგენილი იყო თბილისის თეატრის, მუსიკის, კინოს, მუზეუმის ექსპონატები. მნახველს საშუალება აქვს დაათვალიეროს (ცნობილი ოსტატების ე. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, ი. გამრეკელის, კ. ზდანევიჩის მიერ შესრულებული დეკორაციული ესკიზები.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ანგარიში სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში განსაკუთრებით პასუხსაგებია ყოველი კომპოზიტორისათვის, რადგანაც მას ხელოვნების მკაცრი შემფასებლები იბარებენ. მით უფრო სასიხარულოა აქ ყოველი წარმატება, ამჯერად

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ქართველმა ხელოვნების ოსტატებმა ჩაბარეს. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტ-შეხვედრაზე წარმატება ხვდა გურამ პაატაშვილის საბალეტო სიუიტა-პოემას თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების ნათელა არობელიძისა და ნუგზარ მახათელის შესრულებით.

აქვე წარმოადგინეს ამავე კომპოზიტორის მინი-ოპერა „სიზმარი ტყეში“.

▼▼

ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ Մ. ᲒᲚᲘᲜᲙᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ გამართულ კონფერენციას თემაზე „ოცდაათ წლების საბჭოთა მუსიკალური კულტურა“ წინ უძღოდა გამოფენა „ოცდაათ წლების საბჭოთა მუსიკალური კულტურა ლიტერატურასთან, სახვითს ხელოვნებასთან, თეატრთან კავშირით“, რომელზეც წარმოდგენილი იყო თბილისის თეატრის, მუსიკის, კინოს, მუზეუმის ექსპონატები. მნახველს საშუალება აქვს დაათვალიეროს (ცნობილი ოსტატების ე. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, ი. გამრეკელის, კ. ზდანევიჩის მიერ შესრულებული დეკორაციული ესკიზები.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘᲡ მატჩი Սპორტული წლის ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი მოვლენაა— ასეთ შეფასებას აძლევენ სპორტული მიმომხილველები თანამედროვეობის ორი უდიდესი მოჭადრაკის პაექრობას. ამ მატჩის პერიპეტიები კვლავ მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია. განსაკუთრებული ინტერესი, ცხადია, ბოლო ორმა პარტიამ გამოიწვია. ესპანეთის ტელევიზიამ ამ პარტიების არაპირდაპირი რეპორტაჟი მოაწყო მსოფლიოს ასი ქვეყნისათვის, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. „ჭადრაკის ოლიმპზე ორი ადგილია“, — წერს ესპანეთის გაზეთი „პაისი“, რომელმაც მატჩის ფინიშს ორი გვერდი მიუძღვნა. „სევილიის მატჩი, — წერს გაზეთი, — ისტორიაში შევა როგორც კასპაროვისა და კარპოვის ყველაზე ამაღელვებელი და საინტერესო პაექრობა, რომელმაც შესანიშნავი საჭადრაკო პარტიების კოლექცია გვაჩუქა. ეს იყო ჭეშმარიტად ისტორიული „დუელი“, რომელიც კვლავ გაგრძელდება“.

„გარი კასპაროვი — ძველი ახალი მეფე“ — ასეთი სათაურით აქვეყნებს მატჩის კომენტარს უნგრეთის „ნეპშპორტი“. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ შაბათს, გადადებული პარტიის დამთავრების დღეს, მძიმე სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, კასპაროვი თავს მშვიდად გრძნობდა, კარპოვი კი, რომელსაც ანგარიში მოჰყავდა, აშკარად ნერვიულობდა. ბოლო პარტიის დამთავრების შემდეგ სცენაზე დარჩნენ და პარტია გააანალიზეს. კრიზისულ მომენტში კვლავ გამოჩნდა კასპაროვის საჭადრაკო გენიო.

მტი-ს სააგენტოს მიმომხილველს მოჰყავს კასპაროვის „არცთუ ისე მოკრძალებული განცხადება“, რომელიც მან სევილიის მატჩის შემდეგ გააკეთა: „მე დავამტკიცე, რომ არა მარტო საუკეთესო მოჭადრაკე, არამედ ყველაზე ძლიერი მებრძოლიც ვარ“. უნგრეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეს შანდორ სერანის მიაჩნია, რომ კასპაროვმა დამსახურებულად შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, თუმცა კარპოვი ამ მატჩისთვის წინა შეხვედრებთან შედარებით უკეთ იყო მომზადებული. „კასპაროვის მომავალი მეტოქე, ვფიქრობ, კარპოვი აღარ იქნება. და თუ მაინც ასე მოხდა, ასეთ მძაფრ ბრძოლას არ უნდა ველოდეთ“.

ავსტრიის გაზეთები აღნიშნავენ ისტორიული მატჩის დრამატულ ფინიშს, კასპაროვის შეუპოვარ ხასიათს, კარპოვის პროფესიულ ოსტატობას. აი, რას წერს გაზეთი „ზალცბურგერ ნახრიხტენი“: „კარპოვი, უეჭველად, უკეთესად იყო მომზადებული პროფესიულ თვალსაზრისით და სამჯერ დაწინაურდა. მეთერთმეტე პარტიაში დაშვებული მძიმე შეცდომა რომ არა, ის გაიმარჯვებდა... კასპაროვმა აქამდე ერთხელაც ვერ მოახერხა გამარჯვება წაგებული პარტიის შემდეგ. ამ მატჩში კი, მიუხედავად იმისა, რომ დასვენების დრო არ ჰქონდა, შოკიდან გამოსვლა შეძლო“. ამ აზრს იზიარებს გაზეთი „პრესე“: „თავიდან კასპაროვი ნაკლებად მობილიზებული ჩანდა და სამჯერ იყო მდევრის როლში. 23-ე პარტიის შედეგი აშკარად მოულოდნელი იყო, მაგრამ ამ მძიმე სიტუაციაში კასპაროვმა შეძლო ძალების მოკრება. ბოლო პარტია ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე დაბალბული გამოდგა და სევილიაში საჭადრაკო ციებ-ცხელებამ აპოგეას მიაღწია“.

გაზეთი „ნოიე ა-ცეტი“ კასპაროვს „რეკორდების მოჭადრაკეს“ უწოდებს და გვახსენებს, რომ ის იყო ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი, ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი და მან ამ დროის მატჩებში პირველმა შესძლო ბოლო პარტიის მოგება.

მაშ ასე, დასრულდა დიდი საჭადრაკო მარათონი. კასპაროვი 1990 წლამდე დარჩება ჩემპიონის ტახტზე. ვინ იქნება მისი მომავალი მეტოქე? ამას პრეტენდენტთა შესარჩევი ტურნირები გაარკვევს.

Մ Օ Կ Լ Ե Ժ

ᲞᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ბრიუსელში გრძელდება საკმაოდ ორიგინალური ტურნირი „ქალები ვაჟების წინააღმდეგ“. მეორე ტურში მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა ინგლისელი ოსტატი უოთსონი, ნონა გაფრინდაშვილი დაუზავდა ბელგიელ ოსტატს ვინანსს, პია კრამლინგი (შვეიცია) — ამერიკელ დიდოსტატს დლაგს. დასავლეთგერმანელმა დიდოსტატმა ლობრონმა დაამარცხა უნგრელი ჟუჟა პოლგარი. ორი ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულით ლიდერობენ ჩიბურდანიძე და ლობრონი.

ᲪᲣᲠᲩᲕᲐ. აშშ-ს ქალაქ ორლანდოში გამართულ ქვეყნის ღია ჩემპიონატზე ჟანეტ ევანსმა (აშშ) 400 მეტრზე თავიუფალი სტილით ცურვაში წარმატებით იასპარეზა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.05,45. ადრინდელი, 1978 წლის რეკორდი ეკუთვნოდა ავსტრალიელ ტრეისი უოკერს — 4.06,28. როსტოკში მოწყობილ გდრ-ის ჩემპიონატზე კი სიუზან ბერნეკემ 25-მეტრიან აუზში მსოფლიოში საუკეთესო შედეგით დაამთავრა 200 მეტრზე ბრასით ცურვა — 2.24,61.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲜᲔᲑᲐ გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადეუხადოთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება დ. ი. ჩხიკვიშვილის გარდაცვალების გამო.

Դ. Ի. ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ.

Մ Օ Կ Լ Ե Ժ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. გეტებორგში (შვეიცია) გაიმართა დევისის თასის ფინალური მატჩი შვეიცია და ინდოეთის ნაკრებ გუნდებს შორის. შვედებმა აღმავლობით ითამაშეს, ანგარიშით 5:0 დაამარცხეს მეტოქეები და დევისის თასს მეოთხედ დაეუფლნენ. საბჭოთა კავშირის იუნიორმა ჩოგბურთელებმა კი წარმატებით იასპარეზეს აშშ-ს ტრადიციულ საერთაშორისო გუნდურ შეჯიბრებაზე. სსრ კავშირის გოგონებმაც და ჰაბუკებმაც პირველად ამ შეჯიბრების ისტორიაში პირველი ადგილები მოიპოვეს. უფლმა ა. ჩერკასოვამ და კიეველმა ვ. პეტრუშენკომ ფინალურ შეხვედრაში დამარცხეს შვეიციის ჰაბუკთა ნაკრები, კიეველმა ნ. შედვიდევამ და ოდესელმა ე. ბრიუხოვეცმა — იტალიელ გოგონათა ნაკრები.

ᲯᲐᲚᲜᲘᲜᲓᲘᲐ. იაპონიის ქალაქ ნიიხამაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ჩინელმა სპორტსმენმა ხე ჯოციანმა (52 კგ-მდე წონითი კატეგორია) ატაცაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 118 კგ. ამჯერად მან თავისივე ადრინდელი რეკორდი 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Ნ. ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ.

ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

**ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ